

**მედიცინისა და მენეჯმენტის
თანამედროვე პრობლემები**

ყოველკვარტალური, საერთაშორისო, რეცენზირებადი,
რეფერირებადი
სამეცნიერო შრომათა კრებული

**Modern Issues of Medicine and
Management**

Quarterly, international, refereed, peer-reviewed Collected Scientific
Works

**Современные проблемы медицины и
менеджмента**

Ежеквартальный, Международный, рецензированный,
реферированный сборник научных трудов

თბილისი
№2(10), 2017

სარჩევი

1. მედიცინა	5
აფციაური ლ. - ოკუპაციური თერაპია განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო მკურნალობაში	6
ლომსაძე-კუჭავა მ., მდივანი მ. - მსგავსების პრინციპების განხილვა სტომატოლოგიურ ასპექტში	12
ქარჩავა გ., ციციშვილი მ., პეტრიაშვილის ე., ესებუა ე. - ჩერნობილის კატასტროფის პროდუქტების დინამიკა სამხრეთ კავკასიის ატმოსფეროში	18
2. მენეჯმენტი	25
ამყოლაძე გ., ბუაძე ლ., ლომსაძე მ., ქუთათელაძე რ. - ბიზნეს-ლიდერების განვითარების თავისებურებები საქართველოში	26
ლომსაძე-კუჭავა მ. - ბიზნესის დაწყების აუცილებელი პირობები.....	36
3. ეკონომიკა	42
კატუკია ვ. - საქართველოს საგადასახადო სისტემის პრობლემები და მათი დაძლევის გზები	43
4. ჯანდაცვა	49
ზედგინიძე ა., გონაშვილი მ. - რეკრეაციული საქმიანობის თავისებურებები საქართველოში	50
5. სპორტული მედიცინა	54
ბაკაშვილი ვ. - ინკლუზიური ფიზიკური აღზრდის რეალიები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში	55
6. კომპიუტერული ტექნოლოგიები	61
ხიპაშვილი ი., ეგოიანი ალ., მირცხულავა მ. - ფეხბურთელთა მხედველობითი რეაქციის გაუმჯობესების კომპიუტერული მეთოდი	62

Content

1. Medicine	5
Afciauri L. - Occupational therapy in the treatment and rehabilitation of children with developmental disorders	6
Lomsadze-Kuchava Maia, Mdivani Manana - Principles of similarity in the dental Aspect	12
Karchava G. V., Tsitskishvili. M.S., Petriashvili E.T., Esebua E. P. – Dynamics of atmospheric moving of products of Chernobyl accident to Southern Caucasus	18
2. Management	25
Amkoladze G., Buadze L., Lomsadze M., Kutateladze R. - business-Leadership Development Peculiarities in Georgia	26
Lomsadze-Kuchava M. - The necessary conditions for starting a business	36
3. Economic	42
Katukia V. - The problems of the Georgian tax system and ways to overcome them	43
4. Health care	49
Zederidze A., Gonashvili m. - Peculiarities of recreational activities in Georgia	50
5. Sports medicine	54
Bakashvili V. - The realities of inclusive physical education In secondary schools of Georgia	55
6. Computer Technology	61
Khipashvil I., Egoyan Al., Mirtskhulava M. - A Computer Method for Improvement of Visual Reaction in Young Football Players.....	62

Содержание

1. Медицина	5
Апциаури Л. - Трудотерапия (окупационная) в лечении и реабилитации детей нарушениями развития	6
Ломсадзе-Кучава М., Мдивани М. - Принципы подобия в стоматологическом Аспекте	12
Карчава Г., Цицкишвили М., Петриашвили Е., Эсебуа Е. - Динамика атмосферного переноса продуктов чернобыльской катастрофы для Южного Кавказа	18
2. Менеджмент	25
Амколадзе Г., Буадзе Л., Ломсадзе М., Кутателадзе Р. - Особенности развития бизнес-лидеров в Грузии	26
Ломсадзе-Кучава М. - Необходимые условия для начала бизнеса	36
3. Экономика	42
Катукиа В. - Проблемы Грузинской налоговой системы и пути их одоления	43
4. Здравоохранение	49
Зедгенидзе с., М Гонашвили - Особенности рекреационной деятельности в Грузии	50
5. Спортивная медицина	54
Бакашвили В. - Реалий инклюзивного физического воспитания ареале в средних школах Грузии	55
6. Компьютерные технологии	61
Хипашвили И. А., Егоян А. Э., Мирцхулава М. Б. - Компьютерная методика улучшения зрительной реакции футболистов	62

მედიცინა

ოკუპაციური თერაპია განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო მკურნალობაში

ლელა აფციაური

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, თბილისი, მეფე სოლომონ II ქ.№4

შესავალი

სიტყვა „ოკუპაცია“- ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელობით ოკუპაცია საქმიანობას ნიშნავს. სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენება და ისეთ საქმიანობას გულისხმობს, რომელიც მიზანმიმართული და ღირებულია პიროვნების ან საზოგადოებისათვის.

თერაპიაში კი სიტყვა თერაპია წარმოადგენს ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენების მქონე ადამიანთა მკურნალობას სპეციფიკურად შერჩეული აქტივობების საშუალებით. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს პიროვნებას, რათა მან მიაღწიოს ფუნქციონირების მაქსიმალურ დონეს და დამოუკიდებლობას ცხოვრების ყველა სფეროში.“ მსოფლიო ოკუპაციურ თერაპევტთა მიხედვით - „ოკუპაციური თერაპია არის პროფესია, რომელიც ეხება ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას ოკუპაციის გზით. ოკუპაციური თერაპიის ძირითადი მიზანია, საშუალება მიეცეს ადამიანებს, მონაწილეობა მიიღონ ყოველდღიურ საქმიანობებში. ოკუპაციური თერაპევტები ამ შედეგს იმით აღწევენ, რომ საშუალებას აძლევენ ადამიანებს, შეასრულონ ისეთი საქმიანობა, რომელიც გაზრდის მათი მონაწილეობის უნარს, ან იმით, რომ ცვლიან გარემოს უკეთესი თანამონაწილობის მიღწევისათვის“ (WFPT, 2004).

ძირითადი ტექსტი

ოკუპაციური თერაპია განიხილავს ჯანმრთელობას, როგორც დინამიურ და მრავალგანზომილებიან ფენომენს, რომელიც მოიცავს ადამიანის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ემოციურ, სოციალურ, ეროვნულ და კულტურულ ასპექტებს. მნიშვნელოვანია, რომ ოკუპაციური თერაპია აუმჯობესებს ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხარისხს, იყენებს რა მიზანმიმართულ საქმიანობებს - იგი ეყრდნობა ადამიანზე ორიენტირებულ ანუ ე.წ. კლიენტზე ცენტრირებულ მიდგომას, რაც იმას გულისხმობს, რომ კლიენტი (ადამიანი, ინდივიდი, პიროვნება) აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თერაპიულ პროცესში. ოკუპაციის თერაპია გულისხმობს, რომ ადამიანი უნიკალურია და მას გააჩნია შესაძლებლობები, იყოს მოტივირებული, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე.

ოკუპაციური თერაპია ეს არის სისტემატიური ურთიერთობა ადამიანსა და მის ოკუპაციას (საქმიანობას) შორის. ოკუპაცია - ეს არის ადამიანის მიერ დროის მიზანმიმართული გამოყენება მისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა აქტივობებისათვის. ოკუპაციური თერაპიის ფუნქციაში შედის ამ

ელემენტებს შორის ურთიერთობის შეცვლა, რაც ყველა ან რომელიმე ელემენტის ადაპტაციის, მორგების გზით ხორციელდება.

- ოკუპაციური თერაპია წარმოადგენს ფიზიკურად, გონებრივი თუ სოციალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მკურნალობის/ინტერვენციის მეთოდს, რომლის მიზანია - ამ ადამიანებმა საკუთარი რესურსების გამოყენებით მიაღწიონ დამოუკიდებლობის მაქსიმალურ დონეს.
- თუ მედიცინის ამოცანაა დაავადების მკურნალობა, ოკუპაციური თერაპიის ამოცანაა - პროფილაქტიკა (პრევენცია) ანუ იმ უნარზე შეზღუდულობის ხარისხის შემცირება, რომელიც თავად დაავადებისაგან მომდინარეობს.
- ოკუპაციური თერაპია ეხმარება ადამიანს აღადგინოს, განავითაროს, და შეიძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებლად ფუნქციონირების, ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.
- ოკუპაციური თერაპიის ფუნქცია ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ გაზარდოს კარგად ყოფნის ხარისხი და აღადგინოს პიროვნების ჯანმრთელობის დონე, ხოლო ამისათვის იგი მიზანდასახულ, წინასწარ განსაზღვრულ ოკუპაციას (საქმიანობას) იყენებს. აღსანიშნავია, რომ ინდივიდის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ყოველდღიურ გამოცდილებაზე, რომელიც მას სოციალურ მიმართებაში აქვს გამომუშავებული (Kilhofner, 1997).
- ოკუპაციური თერაპია საშუალებას აძლევს ადამიანს, ისწავლოს და მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური, სოციალური და ფუნქციონალური პოტენციალი. ოკუპაციური თერაპია იყენებს ყოველდღიურ აქტივობებს, რათა დაეხმაროს ადამიანებს დამოუკიდებლობის მიღწევაში. ფიზიკურად უნარშეზღუდული ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, მას თვითონ შეეძლოს ყოველდღიური საქმიანობის შესრულება - ჩაცმა, დავარცხნა, დაბანა, ჭამა. როდესაც ეს ჩვევები დაიხვეწება, ოკუპაციური თერაპიული პროგრამა იწყებს მუშაობას პიროვნების საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულების უნარებზე - მაგ., სწავლა, ოჯახის და სახლის მოვლა, სამუშაოს მოძებნა და დასაქმება. ფსიქიკური და ემოციური პრობლემების მკურნალობას, ოკუპაციური თერაპიული პროგრამა ხშირად მოიცავს:

- დროის სწორად დაგეგმვაში მონაწილეობას;
- პროდუქტულ მუშაობას სხვებთან ერთად;
- თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარების სწავლას და ა. შ.

ოკუპაციური თერაპიული ემეზს გონებრივი, ფიზიკური ჩამორჩენების მქონე თუ სოციალურად არაადაპტირებული პირებისათვის აქტივობებში ჩაბმის გზებს, რათა ისინი მონაწილენი, პარტნიორები გახდნენ თავიანთი ყოველდღიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების პროცესში - ფიზიკური, ფიზიოლოგიური და გარემოს ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ეხმარება ინდივიდებს იმოქმედონ თავიანთ გარემოზე და გააუმჯობესონ საკუთარი ჯანმრთელობა და შესაძლებლობები.

ოკუპაციური თერაპიის მთავარი მიზანია სამი ელემენტის - პიროვნების, გარემოსა და ოკუპაციის - ურთიერთმორგება. რა იგულისხმება აღნიშნულ სამ ფაქტორში უფრო კონკრეტულად:

- პიროვნება - ფიზიკური და ფსიქიკური ფუნქციები, დამოკიდებულებები, გამოცდილება, სოციალური როლი, ინტერესები და ა.შ., ანუ ყველაფერი ის რაც პიროვნებას ახასიათებს;
- გარემო - ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული;
- მიზანმიმართული საქმიანობა (ოკუპაცია) - შედგება აქტივობების და ამოცანების ნაკრებისაგან, რომელსაც ადამიანი ახორციელებს არჩეული, ღირებული, მიზანმიმართული საქმიანობის შესასრულებლად.

ამ სამი ფაქტორის ერთობლიობა შესაძლებელს ხდის მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას. რაც უფრო ჰარმონიულია პიროვნების უნარ-ჩვევების, საქმიანობის და გარემო პირობების თანხვედრა, მით უფრო ეფექტურად და წარმატებულად ხორციელდება არჩეული საქმიანობა და პირიქით, რაც უფრო ნაკლებად უწყობს გარემო ხელს საქმიანობის განხორციელებას, რაც უფრო ნაკლები პიროვნული უნარია მისაწვდომი, მით უფრო გაძნელებულია ან საერთოდ შეუძლებელი ხდება საქმიანობის განხორციელება.

მაგალითად წარმოვიდგინოთ სმენადაქვეითებული ადამიანი, რომელმაც შესტების ენა კარგად იცის (პიროვნული მახასიათებლები) და რომელიც ტელევიზიით შესტების ენის თანხლებით მიმდინარე საინფორმაციო გადაცემას (გარემო) უყურებს (მისთვის ღირებული საქმიანობა). ეს ნიშნავს, რომ ადამიანი წარმატებით ახორციელებს მისთვის ღირებულ საქმიანობას.

ოკუპაციური თერაპია ხელს უწყობს ადამიანს მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას, დამოუკიდებელ ფუნქციონირებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, იყენებს რა შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებს:

- ჯანმრთელობის პრობლემების პრევენცია (თავიდან აცილება)
- უნარის აღდგენა/განვითარება;
- კომპენსაცია/ადაპტაცია(მორგება);
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ვინაიდან ადამიანები მიზანმიმართული და ღირებული საქმიანობით გამოხატავენ საკუთარ თავს, ხოლო ოკუპაციური თერაპია თვითრეალიზაციაში გვიწევს თანადგომას, გასაგები ხდება პროფესიის აქტუალურობა.

საინტერესოა, განვიხილოთ ოკუპაციური თერაპევტის როლი განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო მკურნალობაში.

ქრონიკული დაავადებების ან გარდამავალი მდგომარეობის გამო ბავშვი ხშირ შემთხვევაში პასიურია ან საერთოდ არ არის ჩართული მისი ასაკისთვის შესაფერის ყოველდღიურ საქმიანობაში. უფროსებისაგან განსხვავებით, ბავშვისთვის ისეთი საქმიანობა მაგალითად , როგორც არის

ფეხსაცმელზე თასმების შეკვრა, ჩაცმა, თამაში და სხვა განვითარების დატვირთვის მატარებელია, ამ ტიპის აქტივობებით ბავშვები ავითარებენ თითების ნატიფ გამოყენებას, სივრცის სწორ აღქმას, საკუთარი სხეულის ფლობას და სხვ. ამიტომ ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც ბავშვს მეტად დამოუკიდებელსა და მისთვის ღირებულ საქმიანობაში ჩართულს გახდის, არა მხოლოდ მშობლისთვის საქმის გაიოლების ხერხია, არამედ ბავშვის განვითარების აუცილებელ პირობასაც წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ თუ ემოციურ განვითარებაში ჩამორჩენა მეორადი ხასიათისაა, იმის გამო რომ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებს აქტიურად ემსახურებიან მშობლები/მომვლელელები, ერთის მხრივ მზრუნველობის და განებივრების ხოლო მეორეს მხრივ დროის და ენერჯის ეკონომიის მიზნით. ეს კი ბავშვის პასიურობას უწყობს ხელს, მშობლის ასეთი რეაქცია ბუნებრივი და გასაგებია, თუმცა ბავშვის განვითარებისათვის საზიანო შედეგი მოაქვს. მეორეს მხრივ ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები, პირიქით ზედმეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ბავშვს, მაშინ როდესაც მათ რესურსი არ ჰყოფნით მათი განხორციელებისათვის, ასეთი შემთხვევა იწვევს ბავშვის გაღიზიანებას, იმდგაცრუებას და დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

ოკუპაციური თერაპევტი მშობლებთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენით და გარემოში არსებული რესურსებისა და ბარიერების იდენტიფიკაციით, ოკუპაციური თერაპევტი შეიმუშავებს სამუშაო გეგმას კონკრეტული ბავშვისათვის, რაც შეიძლება გულისხმობდეს გარემოს მორგებას, არჩეული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას და დასწავლას, ასევე საქმიანობის განხორციელების გზების ადაპტაციას. უნარ-ჩვევების განვითარებისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა საქმიანობაში ბავშვის ჩართვა, დახმარების შემცირება და დავალების გართულება თანდათანობით, მაგალითად დასაწყისში ბავშვმა შეიძლება ნახევრად გახდილი (ქუსლიდან მოხსნილი) წინდა ბოლომდე გაიხადოს, ფეხსაცმელზე შეკრული თასმა გაიხსნას, მშობელმა კი მოქმედება ბოლომდე მიიყვანოს. ბავშვი თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ გაზრდის სასურველი საქმიანობის განხორციელების არეალს.

ცნობილია, რომ რაც უფრო ადრე მოხდება განვითარების დარღვევების მქონე ბავშვის შეფასება და შესაბამისი ჩარევის ან დახმარების დაგეგმვა, მით უფრო ეფექტურია სარეაბილიტაციო ღონისძიებები და საიმედოა პროგნოზი.

ადრეულ ასაკში ჩვილი ბავშვის ტვინი პლასტიურია, პირველი 18 თვის განმავლობაში განვითარება ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. ზრდის არც არც ერთ საფეხურზე ბავშვი არ სწავლობს ისე ჩქარა, როგორც ამ ასაკში. ამ დროის განმავლობაში ის ავითარებს მოძრაობის ძირითად, ბაზისურ სტერეოტიპს, ვითარდება გრძნობათა ორგანოები. ბავშვი სწავლობს ლაპარაკსა და ურთიერთობის დამყარებას. განვითარების თანმიმდევრობა ამ ასაკში შემდეგ საფეხურებად შეგვიძლია განვიხილოთ:

- თავისა და პოზის კონტროლი;

- წვდომა და ტაცება;
- ჯდომა და ბალანსი/წონასწორობა;
- ხობვა;
- დგომა;
- სიარული;
- გაბმული(წინადადებებით) მეტყველება.

ამ პერიოდში დასწავლის პოტენციალი უმაღლესია, შესაბამისად განვითარების დარღვევის კორეგირების შანსიც მაღალია. სწორედ ამიტომ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვისთვის თრაპიული ჩარევა ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს.

დასკვნა

როგორც ვხედავთ ოკუპაციური თერაპიის მთავარ სამოქმედო პრინციპს წარმოადგენს ინტერდისციპლინური, მიზანზე ორიენტირებული მიდგომა, მაქსიმალური ფუნქციური დამოუკიდებლობის, ინტეგრაციული და ინკლუზიური განათლებისთვის მომზადების უზრუნველსაყოფად, რაც, თავისთავად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცხოვრების ხარისხის ამაღლების, შესაძლებლობათა გათანაბრებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებელი წინაპირობაა. იგი საშუალებას აძლევს ადამიანებს შეასრულონ ისეთი საქმიანობა, რომელიც გაზრდის მათი მონაწილეობის უნარს, ეხმარება შეცვალონ გარემო უკეთესი თანამონაწილეობისათვის და აიმაღლონ ცხოვრების ხარისხი.

რეზიუმე

ოკუპაციური თერაპია განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო მკურნალობაში

ლელა აფციაური

თერაპიაში კი სიტყვა თერაპია წარმოადგენს ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენების მქონე ადამიანთა მკურნალობას სპეციფიკურად შერჩეული აქტივობების საშუალებით. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს პროცენტებს, რათა მან მიაღწიოს ფუნქციონირების მაქსიმალურ დონეს და დამოუკიდებლობას ცხოვრების ყველა სფეროში.“ მსოფლიო ოკუპაციურ თერაპევტთა მიხედვით - „ოკუპაციური თერაპია არის პროფესია, რომელიც ეხება ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას ოკუპაციის გზით. ოკუპაციური თერაპიის ძირითადი მიზანია, საშუალება მიეცეს ადამიანებს, მონაწილეობა მიიღონ ყოველდღიურ საქმიანობებში.

საკვანძო სიტყვები: თერაპია, ოკუპაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, პრევენცია, ადაპტაცია.

Summary

Lela Afciauri

Occupational therapy in the treatment and rehabilitation of children with developmental disorders

Occupational therapy (OT) is the use of assessment and intervention to develop, recover, or maintain the meaningful activities, or occupations, of individuals, groups, or communities. It is an [allied health profession](#) performed by occupational therapists. OTs often work with people with disabilities, injuries, or impairments. An occupational therapist works systematically with a client through a sequence of actions called the occupational therapy process. There are several versions of this process as described by numerous scholars. All practice frameworks include the components of evaluation (or assessment), intervention, and outcomes. This process provides a framework through which occupational therapists assist and contribute to promoting health and ensures structure and consistency among therapists.

Keywords: Therapy, occupation, people with disabilities, prevention, adaptation.

Резюме

Лела Апциаури

Трудотерапия (окупационная) в лечении и реабилитации детей нарушениями развития

Трудовая терапия — это использование трудовых процессов в качестве лечебного фактора. Она широко применяется в [травматологии](#), ортопедии, неврологии для повышения общего [тонуса](#) организма, для подготовки больного к выполнению его профессиональной деятельности. Трудовая терапия содействует скорейшему восстановлению функции пораженных конечностей как после травмы, так и после операций. У неврологических больных трудовая терапия способствует восстановлению речи, ликвидации остаточных явлений после параличей, парезов и т. д. Ценность трудовой терапии обусловлена также заключающимися в ней элементами творчества и соревнования.

Ключевые слова: Терапия, Окупация, люди ограниченными возможностями, превенция, адаптация.

მსგავსების პრინციპების განხილვა სტომატოლოგიურ ასპექტში

მ. ლომსაძე-კუჭავა, მ. მდივანი

შ.პ.ს. უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, თბილისი, მეფე სოლომონ II ქ.№4

შესავალი

მედიცინით დაინტერესებული პირებისათვის უძველესი დროიდან ადამიანის ჯანმრთელობის შეფასების ერთ-ერთ ემპირიულ მეთოდს პირის ღრუს დათვალიერება წარმოადგენდა. პირის ღრუს მდგომარეობის შეფასება, კერძოდ, ინდივიდის ჯანმრთელობის სტატუსის განსაზღვრა ჯანსაღი და დაზიანებული კბილების რაოდენობასა და მათ თანაფარდობასთან იყო დაკავშირებული. პირის ღრუში დაზიანებული კბილების სიჭარბე მეტყველებდა ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების დისბალანსზე, სხვადასხვა ორგანოების და მათი სისტემების პათოლოგიურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, პირის ღრუს განიხილავდნენ როგორც სარკეს, რომელსაც შეეძლო, დაინტერესებული პირისთვის წარმოედგინა შეექმნა ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე და წარმოადგენდა ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების უტყუარ მტკიცებულებას.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე მედიცინაში ტექნოლოგიები დაიხვეწა. კვლევის მეთოდები იძლევა საშუალებას, ექიმს პირდაპირი წვდომა ჰქონდეს თითოეულ ორგანოში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების შესახებ. მიუხედავად ამისა, მაინც დიდია მედიკოსთა ინტერესი საკითხის მიმართ, რომ ორგანიზმში წარმოადგენს რთულ, ბიოლოგიურ-შეკრულ სისტემას, სადაც ორგანოები და მათი სისტემები ურთიერთდაკავშირებულია რეფლექტორულად. ვიდრე გამოვლინდებოდეს რომელიმე კონკრეტული ორგანოს კლინიკურ-პათოლოგიური მდგომარეობა (ადგილობრივად ტკივილის სახით ან ფიზიკური პარამეტრების შეცვლით), ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როცა არანაირი ჩივილი არ არსებობს, იგივე ორგანიზმში მოიძებნება ზონები, სადაც ნაადრევად შეინიშნება პათოლოგიური პროცესების დაწყების ნიშნები. ეს აიხსნება ორგანიზმის უუნარობით: პირველადი ტოქსინის და დაშლის პროდუქტების ელიმინაცია მოახდინოს სწორედ რეფლექტორულად სადიაგნოსტიკო ზონებში. ეს უკანასკნელნი ჩვენი ორგანიზმის ხილულ ზედაპირულ არეებზეა (პირის ღრუ, კანი) განფენილი. ეს ფაქტი ორგანიზმისთვის ბუნების მიერ ბოძებული დამცველობით უნარს წარმოადგენს.

როგორც ძველ, ასევე თანამედროვე არატრადიციული მედიცინის წყაროებში მოიძებნება დიაგნოსტიკური სქემები, რომელთა მიხედვითაც, კონკრეტული კბილების კარიესული (მარტივის ან გართულებული) დაზიანებანი პირდაპირ კორელაციაშია გარკვეული ორგანოების (და მათი სისტემების) მუშაობასთან.

ლეონარდოს აქვს მოწოდებული სქემა, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ კბილებისა და ორგანოთა სისტემების კავშირს აღწერს შემდეგნაირად: ზედა ყბა: კბილები მარჯვნიდან მე-6, მე-7

კბილები აირეკლავენ გულის მუშაობას, მე-5 კბილი – მარჯვენა ფილტვის მუშაობას, მე-4 კბილი კუჭუკანა ჯირკვალის მდგომარეობას გვამცნობს; მე-7 და მე-8 კბილები – ღვიძლში მიმდინარე პროცესებს ასახავენ. 1-ლი, მე-2 და მე-3 კბილები თვის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროში მიმდინარე პროცესებს აირეკლავენ.

ზედა ყბა, კბილები მარცხნიდან: 1-ლი, მე-2-ე და მე-3-ე კბილები – თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო; მე-6 და მე-7 კბილები გამოხატავენ გულის მუშაობას, მე-4 კბილი – ელენთის მუშაობას, მე-5 კბილი – ფილტვებში მიმდინარე პროცესებს, მე-7 და მე-8 კბილები ღვიძლში მიმდინარე პროცესებს ასახავენ.

ქვედა ყბა, კბილები მარცხნიდან: 1-ლი და მე-2-ე კბილები – ზურგის ტვინი, მე-3 კბილი – წვრილი ნაწლავი, თორმეტგოჯა ნაწლავი; მე-4 კბილი – კუჭი; მე-5 კბილი – სწორი ნაწლავის მარცხენა მხარე; მე-6 კბილი – შარდის ბუშტი; 7-8 კბილი გულის მუშაობასთანაა კავშირში.

მგავსი ტიპის სქემა შემოგთავაზა კრამერმა.

ზემოთხსენებულ ავტორთა მტკიცებით კონკრეტული კბილების ტკივილი არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ადგილობრივ პრობლემად, არამედ ნიშნად, რომელსაც გვადლევს ორგანიზმი, რომ მათთან პროეცირებულ ორგანოებში პათოლოგიური პროცესები დაწყებულია, თუმცა შესაძლებელია, ჯერ კიდევ არ გამოვლენილა კლინიკურად.

თანამდეროვე რეალობაში, 21-ე საუკუნის სამედიცინო მიღწევების, დიაგნოსტიკის მეთოდების ტექნოლოგიური განვითარების დღევანდელ ფონზე, ტრადიციული მიმართულების მედიკოსს საკითხის ამგვარი დასმა და მისი აღიარება შეიძლება გაუჭირდეს და უარყოფის, კრიტიკის ღირსადაც მიიჩნოს. ჩვენი აზრით, ღირს ამ თემის გარშემო ფიქრი, კვლევა და ჩაღრმავება. კერძოდ:

I. იგივე საუნევერსიტეტო (ტრადიციული) მიმართულების მედიკოსთა მიერ აღიარებულ ფაქტს წარმოადგენს, რომ პირის ღრუ ნამდვილად არის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების სარკე. მძიმე მეტალებით, ქიმიური ელემენტებით (მაგალითად, ფტორი) ორგანიზმის ინტოქსიკაცია, როგორც ნეონატალურად, ასევე პოსტნატალურად, ნამდვილად გამოვლინდება კლინიკურად პირის ღრუს ორგანოების (კბილების, ღრძილის) ქსოვილებში.

ასევე, ბევრი ინფექციური დაავადების (ქუნთრუშა, წითელა) საწყისი კლინიკური ნიშნები (პირველადი ინტოქსიკაციის ელემენტები: "ჟოლოსებრი ენა", "ფილატოვ-კოპალაკის ლაქსები", სიფილისური წყლული) სწორედ პირის ღრუს ლორწოვანზე გამოვლინდება პირველადად.

საუნევერსიტეტო მიმართულების მედიცინა მიიჩნევს, რომ ენის დათვალიერება მეტად მნიშვნელოვანი და ინფორმაციულია ორგანიზმში მიმდინარე პროცესების ამოსაცნობად. კონკრეტული დაავადებების დიაგნოსტიკა შესაძლებელია ენის მდგომარეობის და ნადების შეფერილობის მიხედვით. კერძოდ, როდესაც ენა ნადების, ნახეთქების, ხაზების გარეშეა და ღია ვარდისფერია – ორგანიზმი ჯანმრთელია. წითელი ენა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიასა და ფილტვების ფუნქციონირების დარღვევაზე მიუთითებს; მზრწყინავი, კრიალა ენა – ანემიაზე მეტყველებს; ლურჯი ენა – გულ სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი სისტემის და თირკმლის პათოლოგიების მანიშნებელია. მკვეთრად ლურჯი ენა აგონიის წინა მდგომარეობისთვისაა

დამახასიათებელი. ენის ზურგზე შუაში მრუდე ხაზი დამახასიათებელია ხერხემლის გამრუდების, მძიმე ფორმების ან რომელიმე ძალის ამოვარდნილობისათვის. კბილების ანაბექტი ენის გვერდით ზედაპირზე – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დისფუნქციაზე მეტყველებს. ნადების არსებობა ენის შუა ნაწილზე კუჭსა და წვრილ ნაწლავებში ტოქსინების დაგროვებისას აღინიშნება. ნადები ენის ძირში მსხვილ ნაწლავებში ტოქსინების დაგროვებასთან არის დაკავშირებული.

საინტერესოა დიაგნოსტიკა ენის ნადების შეფერილობის მიხედვით: ყვითელი ფერის ნადები – საჭმლის მომნელებელი ტრაქტის პათოლოგიებს ახასიათებს, მკვრივი თეთრი ფერის ნადები – ბაქტერიულ და ვირუსულ ინტოქსიკაციებს. მუქი ყავისფერი მოშავო ნადები – სასუნთქი სისტემის ორგანოთ პათოლოგიებს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების (ღვიძლის, პანკრეასის) ქრონიკულ ანთებით პროცესებს, რომელთაც თან ახლავს ორგანიზმის გაუწყლიანება და აციდოზი.

II. ვიდრე მედიცინა ასე ვიწროდ სპეციალიზებულ და კომპიუტერულ-ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი გახდებოდა, როგორც დიაგნოსტიკის, ისე მკურნალობის ასპექტში, პირველად იყო შემოქმედი ბუნების მიერ ორგანიზმში ჩადებული ადამიანის გონებისთვის ჯერ კიდევ მოუწვდომელი კორელაციები და რესურსები. ამას კი ყველა დიდი მეცნიერი უპრობლემოდ აღიარებს.

დასკვნა

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ოდონტოგენური პათოლოგიები, რა თქმა უნდა უპირველესად წარმოადგენს ადგილობრივ პრობლემას და არის სამედიცინო (სტომატოლოგიური) ჩარევის პირდაპირი ჩვენება. ოდონტოგენური პრობლემის კორექცია არის სრულფასოვანი ლექვის ფუნქციის აღდგენის, სრულფასოვანი მეტყველების, ესთეტიკის და ზოგადად ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გარანტია. ამავდროულად, კვლევის საგნად შეიძლება იყოს დასმული მოსაზრება, რომ კონკრეტული კბილების დაზიანებანი წარმოადგენენ ზოგადად ორგანიზმში სხვადასხვა ორგანოებში მიმდინარე პირველადი პათოლოგიური პროცესების პრედიქტორს.

თუკი კვლევებით მსგავსი კორელაციები მართლაც დადასტურდა, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი პრევენციული, პერსონალიზებული მედიცინის შემდგომი წინსვლისთვის. მოგეხსენებათ, კარიესი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ პათოლოგიათა შორის პირველ ადგილზეა.

საერთოდ, მსგავსების პრინციპის სულის ჩამდგმელი არის კორეელი მეცნიერი, სუ ჯოკ თერაპიის მამა პაკ ჩჟე ვუ, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში საკმაოდ უპრეცედენტო აღმოჩენები გააკეთა მთლიანი სხეულის შესატყვისობისა ხელის მტევანსა და ფეხის ტერფზე. "სუ ჯოკი" შედგება ორი ნაწილისაგან: "სუ" არის ხელის მტევანი, ხოლო "ჯოკ" არის ფეხის ტერფი.

ეს სამკურნალო სისტემა ადამიანის მიერ არ არის შექმნილი – მან მხოლოდ მიაგნო მას, ის თავად ბუნებამ შექმნა. ამაშია მიზეზი მისი ძალისა და უსაფრთხოებისა. შესაბამისობის წერტილთა სტიმულაციას მივყავართ განკურნებამდე. არასწორ გამოყენებას არ მოაქვს ზიანი ადამიანებისათვის, ის უბრალოდ არაეფექტურია.


სუ ჯოკ თერაპიით შეიძლება ვუმკურნალოთ სხეულის ნებისმიერ ნაწილს, ნებისმიერ ორგანოს და ნებისმიერ სახსარს. ამ თერაპიაში არ არის საჭირო რაიმეს დასწავლა და დამახსოვრება. რასაც

დაისწავლით, ადვილად შეიძლება დაგავიწყდეთ, მაგრამ საკმარისია ეს მეთოდი ერთხელ გულდასმით გაიგოთ, ის არასოდეს დაგავიწყდებათ. თქვენი ხელი და ცოდნა სულ თქვენთანაა, საჭიროა იცოდეთ შესაბამისი წერტილები და პრობლემაც გადაწყვეტილია.

პროცესი ასე მიმდინარეობს: მოძებნით ხელის მტევანზე ან ფეხის ტერფზე შესაბამის შესატყვისობის წერტილებს, რომლებსაც "მასაჟორით" ან ბლაგვი ჩხირით რიგ-რიგობით დაამასაჟეთ მანამ, სანამ თითოეული წერტილი არ გაბუჟდება, რის შემდეგაც შეისვენებთ (ერთი-ორი საათით), მერე კვლავ გააგრძელებთ მასაჟი, სანამ არ გამოჯამრთელდებით.

სუ ჯოჯ თერაპია ფანტასტიკურ შედეგებს იძლევა სტომატოლოგიაში, კერძოდ კბილის ტკივილის დროს იღებთ ნებისმიერ ხელის მტევნის ცერ თითს, რომელსაც უყურებთ ზევიდან (კერძოდ "იან" მხრიდან), აკვირდებით ფრჩხილის გარშემოწირულობას, ფრჩხილის ზევით არის ზედა ყბის შესატყვისობა, იქვე განლაგებული კბილებით, ხოლო ქვევით ქვედა ყბის შესატყვისობა შესაბამისი კბილებით.

ეს ყველაფერი სქემატიურად ასახულია სქემაზე:



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Оннури Су Джок. терапия. Том 1, 2. Изд. «Су Джок Академия», Москва, 1993.
2. Оннури аурикулярная терапия. Том 1, 2, 3. Изд. «Су Джок Академия», Москва, 1998.
3. Оннури системы соответствия головы. Изд. «Су Джок Академия», Москва, 2000.
4. მ. ივერიელი, ნ. აბაშიძე, ნ. გოგიშვილი, ნ. გოგებაშვილი. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები. სახელმძღვანელო. თსუ, თბილისი, 2012.
5. Боровский Е.В., Иванов В.С., Банченко Г.В. и др. Терапевтическая стоматология. Изд. «Медицинское информационное агентство», 2004.
6. Burt BA, Eklund SA, Morgan KJ, Larkin FE, Guire KE, Brown LO, Weintraub JA. The effects of sugars intake and frequency of ingestion on dental caries increment in a three-year longitudinal study. Journal of dental research. 1988, Nov; 67(11): 1422-9. Review.

რეზიუმე

მაია ლომსაძე-კუჭავა, მანანა მდივანი

მსგავსების პრინციპების განხილვა სტომატოლოგიურ ასპექტში

პირის ღრუს განხილავენ როგორც სარკეს, რომელიც აირეკლავს სხვადასხვა ორგანოების (და მათი სისტემების) მუშაობის რიტმს. პირის ღრუს მდგომარეობის შეფასებით დაინტერესებულ პირს შეუძლია წარმოდგენა შეიქმნას ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე და წარმოადგენს ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების უტყუარ მტკიცებულებას. ამ მხრივ საინტერესოა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ენის, კბილების მდგომარეობა. ეს აიხსნება იმით, რომ ორგანიზმი წარმოადგენს ბიოლოგიურად შეკრულ სისტემას, სადაც ორგანოები (მათი სისტემები) ურთიერთ დაკავშირებულია რეფლექტორულად.

საკვანძო სიტყვები: პირის ღრუ, კბილები, კარიესი, ორგანოები და ორგანოთა სისტემები, რეფლექტორული ზონები.

Резюме

Маиа Ломсадзе-Кучава, Манана Мдивани

Принципы подобия в стоматологическом аспекте

Рот рассматривается как зеркало, которое отражает рабочий ритм различных органов и их систем. По состоянию полости рта заинтересованное лицо может получить представление о происходящем в организме метаболическом процессе и это будет неопровержимое доказательство оценки состояния здоровья индивидуума. В этой связи особо интересно состояние слизистой оболочки полости рта, языка и зубов. Это можно объяснить тем, что организм является биологически замкнутой системы, где органы и их системы взаимосвязаны рефлекторно.

Ключевые слова: Рот, зубы, кариес, органы, системы органов, рефлекторные зоны.

Summary

Maia Lomsadze-Kuchava, Manana Mdivani

Principles of similarity in the dental aspect

The oral cavity is treated as a mirror that reflects the rhythm of various organs (and their systems). According to the state of the oral cavity, the interested person can get an idea of what is happening in the body metabolic process and this will be an irrefutable proof of the assessment of the state of health of the individual. In this connection, the state of the mucous membrane of the oral cavity, tongue and teeth is of particular interest. This can be explained by the fact that the body is a biologically closed system, where the organs and their systems are interconnected reflexively.

Keywords: Oral cavity, teeth, caries, organs and organ systems, reflective zones.

DINAMICS OF ATMOSPHERIC MOVING OF PRODUCTS OF CHERNOBYL ACCIDENT TO SOUTHERN CAUCASUS

Karchava G. V., Tsitskishvili. M.S., Petriashvili E.T., Esebua E. P.

It took more than 30 years after the biggest anthropo-technogenic catastrophe of the 20th century - the Chernobyl Atomic Power Station (ChAPS) disaster (April 26, 1986, at 1 hour 23 min and 40 s). Atmosphere tests of atomic weapon lead to the threatening global pollution of world biosphere in the end of 50-is of past century - In February, 2011 50 years from the date of an output of the Governmental order of the USSR about creation on the basis of a network and "Scientific Research Institute" of Central administrative board of the Hydro-meteorological service are executed at SM of the USSR of Nation-wide Radiometric Service. During too time parent organization NPO " TYPHOON " (Obninsk), for a scientifically-operative management of this network had across all Soviet Union the branched out network and all some of base stations of the isotope control over Obninsk, in Siberia, Central Asia, Baltic and in Transcaucasia - Tbilisi has been created also. Last laboratory carried out a methodical management and the radioisotope analysis of tests of atmospheric losses and filter-ventilation installations across all Transcaucasia, Northern Caucasus, the Volga region and Crimea! This fact made leaders of world states to agree immediately to forbid testing of atomic weapon in the atmosphere.

In the present researches are generalized the results of long-term laboratory and net examinations of natural geophysical and anthropogenic radiation factors, which were held on a special network of radio-ecological monitoring of the Caucasus from the 50-is of XX century up to the dissolution of the USSR. The daily data of ground-based measurements and generalized average monthly data of radioactive tracer analysis of pollution of the natural environment and eatables with long-lived artificial radionuclides - strontium-90 and cesium-137, were compared to the different climate characteristics of physiogeographic regions of the Caucasus. Long-term dynamics is given and contribution of Chernobyl is reveal.

The biggest anthropo-technogenic catastrophe of the 20th century - the Chernobyl Atomic Power Station (ChAPS) disaster (April 26, 1986, at 1 hour 23 min and 40s) resulting in the considerable radioactive pollution in the Ukraine, Byelorussia, part of Russia and territories of some European countries has not bypassed Georgia. Since the first days of May 1986, there has been radioactive rainfall on the Black sea coast of the Caucasus, Colchis lowland and high mountainous regions of Georgia.

Systematic study of spatial distribution and regularities of pollution in the territory of Georgia has revealed a strong "spotty" pattern of pollution on the Black Sea coast. Remote from the sea areas of Colchis Lowland and Imereti hills were polluted more evenly; considerably more uniformly were distributed small

levels of pollution in Southern Georgia and still smaller in Eastern Georgia. On the whole, if estimated by shares of nuclide fall-outs, distribution of maximum Chernobyl pollution in the territory of Georgia will look like this: coastal strip - 40%, high mountainous areas in Western Georgia (Adjara, Abkhazia, Svaneti) - 25%, Colchis - Imereti plain 20%; North-Western slopes of internal ranges (Racha, Samachablo) and Southern Georgia - 15%; Eastern Georgia and Kakheti - 10%. A hypothetical level of superficial pollution - 10 Ci/km² can be taken with satisfactory accuracy as 100%.

The investigations carried out and evaluations of dose loadings indicate that further radio ecological and medico-epidemiological studies should be pursued with the purpose of revealing the possible anomalies in some Transcaucasia districts with increased levels of radioactive products because of accident at Chernobyl APS.

The results of expeditions exploration al (carried out together with the Institute of Applied Geophysics) of radioactive pollution of Chernobyl coast of the Caucasus from Batumi to Djubgi including Colchis Lowland are in need of definite corrections:

1. Because of great velocities of penetration of cesium-137 due to light soil tips and humidity regimen (this phenomenon was studied by us experimentally still at the end of the 60-s data of radiometric control yield a "favourable" picture.

2. Even not taking into consideration paragraph I on large values of wash-out and penetration of radioisotopes in the soils of Western Georgia the conclusions of explorations ... in 1987 and 1989 by plane and on the ground one can read: "Explorations has established that as a result of accident at Chernobyl AES radioactive pollution occurred on the Black -sea coast of the Caucasus. Density of soil pollution with cesium-137 is 0.4-15 Ci/km². These values are indicated by the results obtained by plotting network of Georgia at the same period.

3. The soil pollution level in Krasnodar region is 3-5 times below that on the Black-sea coast of Georgia. As is known, in accordance with Governmental resolution of 1991 Krasnodar region was recognized as the territory subject to the influence of Chernobyl accident.

The level of gamma-background to the present time in the first two zones of maximal pollution on an average does not exceed 160 mcR/h, with the content of cesium-137 up to 5.10⁻⁷Ci/kg, on the whole the most spread levels in Western Georgia: 40-60 mcR/h with the content of cesium in the upper 5 cm layer is less than 5.10⁻⁸ Ci/kg.

The content of cesium and strontium in the seawater has considerably altered and attained the pre-accident levels; it is of the order 0.5 pCi/l. At the same time, shortly after the accident concentration of cesium-137 on the Eastern Coast of the Black-sea reached tens of pCi/l, decreasing to the South along the coast that

could be accounted for not only by the peculiarities of fall-outs in the area of water, but also, to a considerable extent, by the flow of the rivers Enguri, Rioni, Chorokhi. More evenly distributed was the concentration of strontium.

Since the first days of May 1986, there has been radioactive rainfall on the Black Sea Coast of the Caucasus, Colchis Lowland and high mountainous regions of Georgia. Already on May 2-3 1986 in sample of Sukhumi and on May 3-4 in Tbilisi radiometric network of Georgian hydrometer fixed the existence of “fresh” i.e. short-dife isotopes. We have earlier published several special studies of group of authors - the results of State target projects. After 25 years since the Chernobyl disaster, radionuclide situation on the Black Sea Coast of Georgia has stabilized. At the present time, it is not dangerous to utilize the agricultural products of local production, as well as wildy grown berries, mushrooms and fruit. The external gamma-background has approached the natural level.

The level of seawater pollution on the coastal zone is formed at the expense of washout from the water catchments area and direct fall-outs in water area unequivocally differentiate the levels of radioactive pollutions. Illustrates dislocation of sampling station and distribution of cesium-137 concentration in superficial waters of the Black-sea in October 1986. Concentration levels from 3.4 to 5.8 pCi/liter are observed but on the Eastern coast, higher concentrations only in the estuary of the Danube that is associated with the existence of AES in Europe, as well as Chernobyl fall-outs in Europe.

Estimations of “Typhoon” on the accumulation of exposure doses of gamma-irradiation from the social surface of cesium-137 of Chernobyl origin to the principal regions of the country. In spite of being largely averaged (in the case of fall-out of Chernobyl products being strongly uneven and “spotty” that leads to leveling of levels), the data in rather expressively indicate that the exposure dose accumulated by 1987 13.7mR for the Transcaucasia is maximal, certainly except for the immediate Chernobyl zone. The results obtained appeared both in the local and foreign publications, reports all- Union conferences and meetings.

Indispensability of thorough explorations is prompted also by a large variance of experimentally established data on the coefficients of the transfer of radionuclides of Chernobyl origin in agricultural products produced in the “exposure zones”. In the conditions of Georgia, a great variety of natural and climatic factors, social and everyday conditions, acute divergence of diet, traditions complicate a successful comparison of factors. We have earlier indicated that by many parameters Georgia geochemical is an anomalous region: abundance of soil types forms and finds of landscape, climatology factors manifest themselves in the anomalous pathways of migration along the ecologic chain of technogenic radioisotopes. Under such conditions, any valid data on the actual picture of exposure to radionuclide may be obtained only because of perennial thorough clinical and natural examination of a sufficient contingent of population of various zones and areas.

Can this be already a vivid manifestation of “iodine diversion”, when criminal negligence of authoritative bodies and State Agro industry permitted to spread all over Georgia via fresh greens and dairy

products of May-June, 1986 deleterious effect of iodine-131 from Western Georgia, despite prohibition of free pasturing of the cattle?

These data unequivocally indicate the actual alarming symptoms and indispensability to carry out an extensive project of investigations on all levels of organization of biological systems. Particular attention ought to be paid to cytogenic screening and study in dynamics of cancer, of thyroid gland in particular, since the established levels of initial pollution of the territory of Western Georgia with radioactive iodine in the first days of the accident are fraught with serious consequences.

Systematic study of spatial distribution and regularities of pollution in the territory of Georgia has revealed a strong "spotty" pattern of pollution on the Black- seacoast. Remote from the sea areas of Colchis Lowland and Imereti hills were polluted more evenly; considerably more uniformly were distributed small levels of pollution in Southern Georgia and still smaller in Eastern Georgia. On the whole, if estimated by shares of nuclide fall-outs, distribution of maximum Chernobyl pollution in the territory of Georgia will look like this: coastal strip - 40%, high mountainous areas in Western Georgia (Adjara, Abkhazia, Svaneti) - 25%, Colchis - Imereti plain 20%; North-Western slopes of internal ranges (Racha, Samachablo) and Southern Georgia - 7%; Eastern Georgia - 5%; Kakheti - 3%. A hypothetical level of superficial pollution - 10 Cu/km^2 can be taken with satisfactory accuracy as 100%.

On 26 April 2011, twenty-five years have passed since the accident at the Chernobyl APS. In connection with the date, SI "RPA "TYPHOON" has analyzed the files containing information about environmental radioactive contamination in Russia and neighboring countries, including the territory of Southern Caucasia. It was revealed that due to plenty of data not all of them were summarized and published to be widely available for specialists. This presentation aims to summarize the experimental data obtained by specialists of Hydrometeorology Service of the former USSR on radioactive contamination in the area of Southern Caucasia resulted from the accident at the Chernobyl APS. Radiometric subdivisions of Hydrometeorology Service of Georgia found entry of radionuclide's of Chernobyl origin in 2-5 May 1986. Maximum radionuclide concentrations in the surface air and atmospheric depositions were observed in 2-3 May in Sukhumi and Tskhaltubo, 3-4 May in Poti and Batumi, 4-5 May in Tbilisi. There were 1,8 Ci/km^2 of ^{140}Ba , 340 mCi/km^2 of ^{103}Ru , 155 mCi/km^2 of ^{144}Ce , 72 mCi/km^2 of ^{137}Cs in Batumi during those days.

Below one of the first publications on a theme of influence of technogenic accident on the Chernobyl atomic power station on a radioecological situation on Southern Caucasus are resulted:

1. Gavasheli Sh. G., Khazaradze R.E., Tsitskishvili M.S. Radioactivity of atmospheric air on the territory of Georgian SSR. Collection of papers of Sc. Inst. of Sanitary and Hygiene of G.M. Natadze. Vol XI, Tbilisi, 1975, p. 109-113. (Russian).

2. Meteorological aspects of radioactive pollution of the atmosphere. Proc. Inter. Symp., Tbilisi, October 1973; Ed. by J.M.Lominadze, M.S. Tsitskishvili et al., Leningrad: Hydrometeoizdat, 1975. 338 p. (Russian).

3. L.Mosulishvili, N.Shonia, N.Katamadze, A.Ginturi. Some evidence of radionuclide monitoring in Georgia after Chernobyl disaster. In: "Radiation Studies", v.6. Tbilisi: Publ. House "Metsniereba", 1991, pp.221-241. (Russian).

4 . Akhmeteli G.G., Intskirveli L.N., Sanaia T. G., Tsitskishvili M.S. Influence of Chernobyl disaster on radio-ecological situation in Georgia. Materials of Soviet Union conference "Ecological problems of defense of live nature", 1990. M. Academy of Sciences of USSR, "VNII-Priroda", part II, p.84-86. (Russian).

5. The influence of Chernobyl disaster on the radioecological situation in the Transcaucasia.m, Communication 1: Radiation echo of Chernobyl in Georgia (Authors: K.Sh. Nadareishvili, M.S.Tsitskishvili et al.). In: "Radiation Studies, v. 6. Tbilisi: Publ. House "Metsniereba", 1991, pp. 132-151. (Russian).

6. Communication 2: On a possible manifestation of the effect of Chernobyl catastrophes the health of population in Georgia. (Authors: M.S. Tsitskishvili et al.). It is published in the same place. pp. 152-156. (Russian).

7. Communication 3: Pilot epidemiological studies in Georgia to reveal radioecological loadings as a result of accident at Chernobyl AES. (Authors: M.S.Tsitskishvili et al.). It is published in the same place. pp. 157-173. (Russian).

10. Communication 4: Estimation of internal input of technogenic fragmentation radionuclide's via alimentary pathway with nutrition ration (Authors: M.S. Tsitskishvili et al.). It is published in the same place. pp. 174-196. (Russian).

რეზიუმე

ქარჩავა გ., ციციშვილი მ., პეტრიაშვილის ე., ესებუა ე.

ჩერნობილის კატასტროფის პროდუქტების დინამიკა სამხრეთ კავკასიის ატმოსფეროში

ნაშრომში მოყვანილია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი (1986 წლის 26 აპრილი, დამის 1 საათი და 23 წუთი და 40 წამი), მეოცე საუკუნის უდიდესი ანტროპო-ტექნოგენური კატასტროფისას სამხრეთ კავკასიის სპეციალურ რადიომეტრულ ქსელის პუნქტებში რადიოაქტიური პროდუქტების ჩამოცვენის მრავალწლიანი მონიტორინგის შედეგები. ნაჩვენებია გამმა-სპექტრალური იზოტოპური ანალიზის მონაცემები რეგიონის შიგნით მათი ტერიტორიული განაწილების მიხედვით. შეფასებულია ტექნოგენური რადიონუკლიდების დოზური დატვირთვები.

საკვანძო სიტყვები: ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური, ანტროპო-ტექნოგენური კატასტროფა, რადიოაქტიური პროდუქტები, ტექნოგენურ რადიონუკლიდები.

Резюме

Карчава Г., Цицкишвили М., Петриашвили Е., Эсебуа Е.

Динамика атмосферного переноса продуктов чернобыльской катастрофы для Южного Кавказа

В работе приведены результаты многолетнего мониторинга радиоактивных выпадений продуктов крупнейшей антропо – техногенной катастрофы двадцатого века на Чернобыльской атомной станции (26 апреля 1986 г. в 1 час, 23 мин. и 40 сек) на пунктах специальной радиометрической сети на Южном Кавказе. Показаны данные гамма-спектрального анализа техногенных радионуклидов, их территориального распределения внутри региона. Осенины дозовые нагрузки от техногенных радионуклидов.

Ключевые слова: Чернобыльская атомная электростанция, антропогенные-антропо катастрофа радиоактивные продукты, техногенные радионуклиды.

Summary

Dynamics of atmospheric transport of products The Chernobyl disaster for the South Caucasus

Karchava G. V., Tsitskishvili. M.S., Petriashvili E.T., Esebua E. P.

The paper presents the results of long-term monitoring of radioactive fallout products of the largest anthropo – technogenic disaster of the twentieth century at the Chernobyl nuclear power plant (26 April 1986 at 1 hour 23 min. and 40 sec) on items of special radiometric network in the South Caucasus. Shows the data of gamma-spectral analysis of technogenic radionuclides and their territorial distribution within the region. Shaded radiation exposure from man-made radionuclides.

Keywords: Chernobyl nuclear power plant, anthropo-technogenic catastrophe, radioactive products, technogenic radionuclides.

მენეჯმენტი

ბიზნეს-ლიდერების განვითარების თავისებურებები საქართველოში

გ. ამყოლაძე, ლ. ბუაძე, მ. ლომსაძე, რ. ქუთათელაძე

შესავალი

ლიდერის უნარსა და თვისებებზე ქვეყნებს შორის წარმოდგენები განსხვავებულია. განსხვავებულია მასზე შეხედულებები მართვის ვერტიკალური იერარქიის და ქსელური სტრუქტურირების დროსაც. ბიზნესის ქსელურმა სტრუქტურებმა ორგანიზაციული კულტურის აშკარა გავლენა გვიჩვენა ლიდერსა და ლიდერობაზე.

ასეთ პირობებში, როცა საქართველოც გლობალური მსოფლიოს ერთერთი წევრია, ქართული კულტურის თავსებადობასთან მიმართებაში, შესასწავლია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს საქართველოში ფუნქციონირებადი კომპანიის ლიდერი, რა თვისებები და უნარჩვევები უნდა ჰქონდეს, ქართული კულტურის რა ნიშანთვისებები უნდა გაითავისოს და ბოლოს, კომპანიის წარმატებისთვის რისი გაცემა უნდა შეეძლოს "მსხვერპლად".

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანი იყო ლიდერობის ფენომენის შესწავლა და მასზე ორგანიზაციული კულტურის ზეგავლენის გამოვლენა ქართულ კომპანიებში. ამ მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანები იქნა გადაწყვეტილი:

- შესწავლილ იქნა ლიდერობის ფენომენი და მისი გენეზისი;
- დახასიათებულ იქნა ლიდერის თანამედროვე ტიპები;
- გამოვლენილ იქნა ლიდერობის გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე;
- აღწერილ იქნა ლიდერობის სპეციფიკა ქართულ სინამდვილეში;
- ჩატარდა ორგანიზაციული კულტურის სოციოლოგიური ანალიზი;
- დახასიათდა ლიდერობისადმი ახალი მიდგომები;

კვლევის საგანი: კვლევის საგანს წარმოადგენს ლიდერობა და ორგანიზაციული კულტურა მენეჯმენტის სისტემაში, ლიდერობის ფენომენი და მასზე ორგანიზაციული კულტურის ზეგავლენა ქართულ კომპანიებში.

ამოცანის დასმა

ლიდერობა მკვლევართა ყურადღების ცენტრში ყოველთვის არის და მომავალშიც იქნება. ბაზარზე მიმდინარე პროცესების გართულებასთან ერთად, ლიდერობისა და მმართველობითი ფუნქციების შესრულებაც რთულდება. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ხარისხიანი პროდუქციის წარმოება და მომსახურების გაწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ განახლებული და გაუმჯობესებული სტრუქტურის მეშვეობით რომელიც ფუნქციურად გარდაიქმნა და განახლდა. ამ ცვლილებების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ლიდერობას ენიჭება.

ლიდერობის შესწავლისათვის გამორჩეულად მივიჩნით: ლიდერის და მენეჯერის ფუნქციები, სტატუსური ძალაუფლების, ლიდერის მახასიათებლების, მისი მიმდევრების სიტუაციური ფაქტორების, ლიდერის და მისი ეფექტიანობის თავისებურებათა დადგენა.

ძირითადი ტექსტი გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე ა. **ზალეზნიკი** მენეჯერს და ლიდერს შორის განსხვავებას მათ მოტივაციაში, საქმიან გამოცდილებაში, აზროვნების მოქნილობაში და მოქმედების თავისებურებაში ხედავს. ჩვენ ვეთანხმებით მისი გამოკვლევის შედეგებს და ვასკვნით, რომ ეს სხვაობა ძირითადად ორი ასპექტით ხასიათდება: პიროვნული ორიენტაციითა და მოქმედების ფუნქციური თავისებურებებით. ჩვენი მიდგომით სიტუაციის მართვაზე გადაწყვეტილების მიღების დროს მენეჯერი ცდილობს შედარებით ზომიერების დაცვას. ლიდერი ყოველთვის ცდილობს სარისკო ქცევებით მიაღწიოს მიზანს. ის ამომწურავი ინფორმაციის არსებობის დროსაც კი ძირითადად თავის ინტუიციას ეყრდნობა, მენეჯერი კი გარემოს განუსაზღვრელობის შემცირების მიზნით წესრიგის დამყარებას ცდილობს.

სტატუსური ძალაუფლება გულისხმობს ფირმაში თანამშრომლის სტატუსს. მას ვინც მაღალ სტატუსს ფლობს მას მეტი ძალაუფლება გააჩნია. იმიტომ, რომ მას მეტიც მოეთხოვება და პასუხისმგებლობაც მეტი აქვს.

თუ თავის დროზე ინტენსიური კვლევის საგანს ლიდერობის ეფექტიანობა სქესთან, რასასთან და ეროვნულობასთან კავშირი წარმოადგენდა, ჩვენთვის საინტერესოა მიმდევრებისა და ხელქვეითების მოტივაციაზე ლიდერის ქცევის ზემოქმედება. კვლევისათვის საინტერესოა ლიდერის პიროვნული და ქცევითი მახასიათებლების დადგენა მოცემულ სიტუაციაში მის მიერ ჩამოყალიბებული მართვის სისტემის გამოყენების ეფექტიანობის მიღწევის დროს.

ლიდერობის ეფექტიანობა ბოლო დროინდელ კვლევებში მოიცავს შრომითი ჯგუფის კვლევას და არა ცალკეული მომუშავეის შესწავლას.

ლიდერის ეფექტიანობის კვლევაში არ შეიძლება გამოვტოვოთ მისი საქმიანობის შინაარსი. ამ შემთხვევაში ყურადღება ლიდერის და ხელქვეითების იმ მახასიათებლების დადგენაზეა გამახვილებული, რომლებიც მისი ქცევის პროდუქტიულობის და ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმების გამოყოფასთან არიან დაკავშირებული.

ლიდერობა ძირითადად ეყრდნობა მიმდევრებსა და ფირმის თანამშრომლებს, ამიტომ საჭიროა ლიდერი ფლობდეს ბიზნესის მმართველობით საქმიანობაში იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაეხმარება მას, ადამიანებზე დაყრდნობით, ეფექტიანად უზრუნველყოს დასახული ამოცანების შესრულება.

„მმართველობით პროცესში მრავალრიცხოვანი ფაქტორებიდან ძირითადია ლიდერის პიროვნული თვისებები, მისი საქმიანობის რისკის დონე, გადაწყვეტილებების მიღების დრო და გარემო, ინფორმაცია, ქცევითი შეზღუდვები, გადაწყვეტილებათა ნეგატიური შედეგები და ურთიერთდამოკიდებულება.[1] ბაზარზე მოქმედი ცვლილებების საფუძველზე იცვლება მოთხოვნები

ლიდერების მიმართ, რომლებიც ასევე განიცდნ გარკვეულ ცვლილებას. თუმცა, უკვე მესამე ათწლეულია ისინი კვლავაც რჩებიან ქართული ლიდერობის გამოკვეთილ თავისებურებებად.[2] იცვლება სამუშაოს ბუნება, პროფესიები განიცდიან სწრაფ ცვლილებებს, აუცილებელი ხდება მუდმივი სწავლება. მკვეთრად იზრდება იმ თანამშრომლებზე მოთხოვნა, რომლებიც ფლობენ, როგორც ტექნიკურ ცოდნას, ასევე გუნდის წევრებთან ურთიერთობის ოსტატობას (ე.ი. ლიდერის თვისებას).

საქართველოში, ორგანიზაციის მართვის პროცესში, ჩვენ ვხვდებით დიდ სირთულეებს, ამიტომ ვცდილობთ, მოვძებნოთ ის ადამიანები, ვისი მოთხოვნილებები, ტალანტი და ძალისხმევა პასუხობენ, გადაწყვეტილების მიღების დროს, ინფორმაციული ტექნოლოგიის, ორგანიზაციული კულტურისა და ეთიკის საკითხებს.

დამოუკიდებლობის რეალობიდან გამომდინარე, ქართული ბიზნესის მმართველობით საქმიანობაში ლიდერობისათვის დამახასიათებელი გახდა ისეთი სპეციფიკა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი.

საქართველოში კერძო კომპანიების ძირითადი მოტივია **მაქსიმალური მოგების მიღება და თან, რაც შეიძლება სწრაფად**. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ რაც უფრო სწრაფია და დიდია მოგება, მით უფრო წარმატებულია ფირმა და, შესაბამისად, წარმატებულია მისი ხელმძღვანელიც.[3]

რწმენა ხდება სტრატეგია. ბიზნესის მართვისა და განვითარების შედეგად ფირმა მოკლე ვადაში აღწევს წარმატებას, მაგრამ ვერ ახერხებს ბაზრის ცვლილებებზე დროულად რეაგირებას მართვის ცოდნის ნაკლებობის გამო და ბევრი ფირმა კოტრდება.

ქართული ლიდერობის მეორე თავისებურება არის **უნივერსალიზაცია ყველგან და ყველგან**. როგორც წესი, ფირმების დიდი ნაწილი უნივერსალიზაციას თავისი ფირმის ძირითად სტრატეგიად ირჩევს. ვაკეთოთ ყველასთვის, მოვემსახუროთ ყველას და ვიყოთ საინტერესო და ცნობილი ყველასთვის. ეს არის მოტივაცია, რომელიც ძალიან ბევრი ფირმის მამოძრავებელი კონცეფცია ხდება. შედეგად, რაღაც დროის განმავლობაში ისინი ახერხებენ სწრაფად გაშალონ ასპარეზი. დროთა განმავლობაში მათი მამოძრავებელი მოტივაცია მცირდება. ამის მიზეზებიან.რომ ვერ ხერხდება: ა) მნიშვნელოვანი ცოდნის დაგროვება. ბ) საინტერესო იდეების გენერაცია და განხორციელება ყველა მიმართულებით, ერთი ტემპებით, გ) ყველა მომხმარებლის დაკმაყოფილება თანაბრად კარგად.[3] შედეგად იწყება კრიზისის ესკალაცია. გაყიდვები მცირდება, დროთა განმავლობაში იძაბება ურთიერთობები მენეჯმენტის გუნდის წევრებს შორის.

ქართული ლიდერობის მესამე თავისებურებას წარმოადგენს პირველობისკენ სწრაფვა. როგორც კი ფირმები სხვებზე სწრაფად იწყებენ ზრდას, მათი უმთავრესი მიზანი ბაზრის ლიდერობა ხდება, ეს კი ბევრი უარყოფითი მოვლენის და პროცესის საფუძველია: ა) ფირმები უგულვებელყოფენ ორგანიზაციული განვითარების აუცილებლობას. ბ) ფირმები აღარ აქცევენ ყურადღებას გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ პროექტებს. ვერ ნახულობენ მართვის დროს, საკმარის სახსრებს, საკმარის მოტივაციას საკუთარ თავში. აქაც იწყება კრიზისი. ფირმა ვეღარ ასწრებს განვითარდეს ზრდის

შესაბამისად. ზრდის შედეგად გაზრდილი მოცულობები „მაკრატლის ეფექტით“ თვითონ იწყებენ ფირმის დახრჩობას. [3]

ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებმა გამოავლინა ბიზნესის დღევანდელ ლიდერთა ძირითადი სისუსტეები, რაც ჩვენს მიერ აღწერილი სტრატეგიების შედეგია, ჩვენი სურვილია, გაითვალისწინონ ბაზრის დღევანდელი მოთხოვნები და ნაკლოვანებების ანალიზის გამოყენებით წარმატებით წარმართონ ლიდერული საქმიანობა.

ბიზნეს ლიდერების ეფექტიანი საქმიანობის შედეგი საინტერესოა თავისი ფირმისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ყოველთვის მიუწვდომელია, მაგრამ ბაზარი იძლევა საუკეთესო ინფორმაციას ლიდერის წარმატებულ საქმიანობასა და ასევე ჩავარდნებზე. ფირმის მიღწევები და ჩავარდნები ძირითადი მაჩვენებლებელია ლიდერის საქმიანობის ეფექტიანობაზე.

თანამედროვე ტიპის ლიდერი, ბიზნესის მმართველობით საქმიანობაში უნდა გამოიჩინოს ლიდერისათვის დამახასიათებელი შემდეგი უნარ-ჩვევებით:

- სწორი დაგეგმვის უნარი, სტრატეგიის სწორად და დროულად შერჩევა.
- სხვების აზრების ყურადღებით მოსმენის უნარი.
- თანამშრომლების შექება, მათი წვლილისა და დამსახურების დანახვა, დაფასება, აღიარება, მოტივირება და სტიმულირება.
- ყოველდღიური სწავლა, გამოცდილების მიღება და დაოსტატება.
- საკუთარი სისუსტეების დანახვა და გაანალიზება.

ბაზრის პირობებში მოქმედი ფირმა, გარკვეულ საზღვრებში მოქცეული ობიექტია, რომელსაც გააჩნია მოწესრიგებული შინაგანი სტრუქტურა, აქვს თავისი დანიშნულება - მისია, რომლის სახელითაც ადამიანები ერთიანდებიან და ფუნქციონირებენ საერთო მიზნის მისაღწევად. მასში შეთანხმებულად მოქმედებს ინტელექტუალური, ფიზიკური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სამართლებრივი კავშირები და ადამიანური ურთიერთობები,[4] რაც ლიდერისთვის ძირითადი დამხმარე ძალაა, რათა გაზარდოს ორიენტირება ბაზარზე და ეფექტიანად გამოიყენოს ფირმის შეზღუდული რესურსები.

ლიდერისათვის ორგანიზაციული კულტურის გამოყენება შეუძლია ისეთი ფუნქციების შესასრულებლად როგორცაა:

- დაცვითი;
- მაინტეგრირებელი;
- მარეგულირებელი;
- ადაპტაციური;
- მაორიენტირებელი;
- მამოტივირებელი იმიჯის ფორმირება.

ზოგადი განმარტებით კულტურა ფირმაში აერთიანებს ღირებულებებს, ფასეულობებსა და თანამშრომელთა რწმენას, რომლებსაც იყენებს ლიდერი და ეხმარება თანამშრომლობითა და ფირმის მიზნის მიღწევაში.

იმისათვის, რომ ფირმის საქმიანობა ბაზარზე ეფექტიანი გახდეს, ლიდერი იყენებს კორპორაციული კულტურის თვისებებს:

1. **სიახლეების დანერგვა და რისკიანობა:** დაქირავებულებისათვის ხელის შეწყობის ხარისხი, იყვნენ ნოვატორები და რისკიანები;
2. **დეტალების მიმართ ყურადღება:** დაქირავებულების მიერ სიზუსტის, მობილიზებისა და დეტალებზე ყურადღების მიქცევის ხარისხი;
3. **შედეგზე ორიენტირება:** მენეჯმენტის მიერ შედეგზე და არა ამ შედეგების მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებსა და პროცესებზე ყურადღების გამახვილების ხარისხი;
4. **ადამიანებზე ორიენტირება:** მენეჯმენტის გადაწყვეტილების ხარისხი, მხედველობაში მიიღოს, ორგანიზაციებში რა გავლენას ახდენენ შედეგები ადამიანებზე;
5. **გუნდზე ორიენტირება:** სამუშაოს საქმიანობების გუნდის და არა ინდივიდების გარშემო ორგანიზების ხარისხი;
6. **აგრესიულობა:** ადამიანების აგრესიულობისა და კონკურენტულობის და არა გულგრილობის ხარისხი;
7. **სტაბილურობა:** ორგანიზაციული საქმიანობების მიერ სტატუსქვოსა და არა ზრდაზე კონცენტრირების ხარისხი. [5] ლიდერისთვის თითოეული ეს თვისება შესაძლებელია იყოს ძლიერიც და სუსტიც.

ლიდერისათვის ყოველთვის პრიორიტეტულია გუნდზე, ადამიანებზე ორიენტირება და აანალიზებს ფირმის შიდა და გარე ფაქტორებს; ასევე არკვევს რა გარემოებები ახდენს გავლენას:

1. საქმიანი გარემოცვა.
2. ეროვნულ სახელმწიფოებრივი თავისებურებანი.
3. ეთნიკური ფაქტორები.
4. ორგანიზაციის დამაარსებლის ფილოსოფია.
5. ბიზნესის სახეობა.
6. მოქმედების თავისებურება.
7. თანამშრომელთა ურთიერთობა ორგანიზაციაში.
8. თანამშრომელთან მეგობრობის ხარისხი.
9. მუშაკთა მოტივაციის დონე,
10. მუშაკთა ავტონომიის დონე.
11. მართვის სტილი.
12. მუშახელის ბუნებ.
13. ხასიათი.

14. თანამშრომელთა მიერ თავიანთი შრომის დაცვის უნარი.

საქართველოში მეცნიერების, ტექნიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად ორგანიზაციული კულტურაც მუდმივ განვითარებას განიცდის. ადამიანის შინაგანი, ანუ სულიერი კულტურის ნიშნებია: ინტელექტუალური განვითარება, ესთეტიკური აღზრდა და ზნეობრივი სისპეტაკე.

ფირმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი კულტურული შინაარსით. ისინი დაახლოებით ენათესავენ იან ერთმანეთს კულტურული ღირებულებების მიმართულებით, მაგრამ მრავალფეროვანი განსხვავება გააჩნიათ ვარაუდების მიმართულებით. არა მარტო ქართველი, ზოგადად ყველა ლიდერისათვის საჭიროა ისეთი ფირმების გამოცდილების შესწავლა რომლის გამოყენება საშუალებას მისცემდა ლიდერს უფრო ეფექტიანად წარმართოს საქმიანობა.

ქართველი ბიზნეს ლიდერის ეფექტიან საქმიანობაზე ძლიერ გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია სამეწარმეო ეთიკა, კულტურა და სოციალური პასუხისმგებლობა. განსაკუთრებით დაუცველია დაქირავებული მუშაკი და თვითდასაქმებული. მენეჯმენტისა და ორგანიზაციული კულტურის ურთიერთქმედების რამდენიმე წესი არსებობს, კერძოდ, მენეჯერებმა შეიძლება იმოქმედონ მკაცრად ორგანიზაციული ფასეულობების შესაბამისად, შესაძლებელია ხელმძღვანელებმა იგნორირება მოახდინონ ჩამოყალიბებულ კულტურაზე და თავიანთი მიზნების მიღწევაზე ჯიქური იერიში მიიტანონ. ამიტომაც, საჭიროა ლიდერის მეტი ძალისხმევა რათა ფირმის საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს.

დასკვნა

საქართველოში ბიზნესის განვითარების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება ლიდერის ეფექტიან და მიზანმიმართულ საქმიანობას. ბიზნესში წარმატებული ლიდერი გამოცდილია, მას უკვე მიღებული აქვს ქვეყნის ბიზნესის მართვის გამოცდილება.

საქართველოში ბიზნეს ლიდერების ჩამოყალიბების პერიოდი ძირითადად ემთხვევა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის პერიოდს და აქედანვე უნდა ჩაითვალოს საქართველოში თანამედროვე ბიზნესის განვითარების პერიოდიც. მეოთხედი საუკუნე გავიდა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებმა ბევრი საინტერესო პროექტები განავითარა, ბაზრის პირობებში საქმიანობამ წარმატებული ლიდერები გამოავლინა, მაგრამ მათ ჩამოყალიბებას კიდევ ესაჭიროება მეტი ცოდნა, გამოცდილება და ლიდერობის თვისებების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ბაგრატიონი ლ., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი. „მენეჯმენტი“ წიგნი I, თბილისი, 2016;
2. ლომაია ც. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, თბ. 2012.
3. ტოლიაშვილი პ., ჩხაიძე ი., ბურჯალიანი ჯ., ქენქაძე თ., მოდებაძე შ., ცერცვაძე ნ., ჯაფარიძე დ., ბაბუნაშვილი ვ., შიშმანაშვილი ა., ქარქუზაშვილი ნ., ხმელიძე თ., „ლიდერობის ხელოვნება“. პალიტრა - L, III გამოც. თბილისი, 2012.
4. ლომაია ც., გედევანიშვილი მ. „თანამედროვე მენეჯერი, განვითარების წინაპირობები, თვისებები და პრიორიტეტები. ჟ. მაცნე, N 4, 2012.
5. სინერჯი ჯგუფის წიგნები „ლიდერობის ხელოვნება“. თბ. 2012.
6. სამადაშვილი უ. „ბიზნესის საფუძვლები“. თბ.2009.
7. ლურჯაია კ., ლურჯაია თ. „საერთაშორისო ბიზნესი“. თბ. 2012.
8. ხარაძე ნ. „ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება“. I ნაწილი, თბ. 2009.
9. ჰოფსტედე გ., ჰოფსტედე გ. ი. „კულტურები და ორგანიზაციები“. თარგმანი ინგლისურიდან, ილიას უნივერსიტეტი, 2011.
10. ჟვანია ი., კვიციანი გ., „ლიდერი და ლიდერობა“. თბ., 2009.
11. ნორტჰაუზი პ., ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა, თბ., 2010.
12. Друкер П. Энциклопедия менеджмента(Пер. с Англ.). М., 2004.
13. Салмон Р. Будущее менеджмента (Пер. с Англ.). Питер, 2004.

რეზიუმე

გოჩა ამცოლაძე, ლევან ბუაძე, მათა ლომაია, რუსიკო ქუთათელაძე
საქართველოში ბიზნეს-ლიდერების განვითარების თავისებურებები

ნაშრომში განხილულია საქართველოში ბიზნეს-ლიდერების განვითარების თავისებურებები, რაც უშუალო კავშირშია საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე რეფორმებთან. ბიზნესის განვითარების საწყისად ითვლება ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის პერიოდი. ამ პერიოდიდან ქვეყნის ეკონომიკა საქმიანობს ბაზრის პირობებში ვითარდება. რეფორმების მიმდინარეობამ და ბიზნესის პირობების ხშირმა ცვლილებებმა გამოკვეთა ბიზნეს-ლიდერთა ჯგუფი, რომელთა საქმიანობის შედეგები სხვებთან შედარებით საინტერესო და მომგებიანი გახდა. შესაბამისად ლიდერების განვითარებაც მიმდინარეობს ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს ლიდერი, ბაზარი, ეკონომიკა, რეფორმები, განვითარება.

Резюме

Г. Амколадзе, Л. Буадзе, М. Ломсадзе, Р. Кутателадзе

Особенности развития бизнес-лидеров в Грузии

В данной работе рассмотрены особенности развития бизнес-лидеров в Грузии, что непосредственно связано с реформами в Грузии. Начальным периодом развития бизнеса в Грузии считается период получения независимости Грузии и с данного периода экономика Грузии осуществляет свою деятельность в условиях рынка. Реформы и частые изменения условий рынка выделили группу бизнес-лидеров, деятельность которых, по сравнению с другим, стала прибыльной и интересной. Соответственно и развитие лидеров происходит в соответствии с потребностями рынка.

Ключевые слова: бизнес-лидер, рынок, экономика, реформы, развитие.

Summary

Amkoladze Gocha, Bouadze Levani, Lomadze Maia, Kutateladze Ruciko

Features of development of business leaders in Georgia

In this work features of development of business leaders in Georgia are considered that it is directly connected with reforms in Georgia. The period of obtaining the independence of Georgia is considered as the initial stage of development of business in Georgia is and since this period the economy of Georgia carries out the activity in the conditions of the market. Reforms and frequent changes of conditions of the market revealed a group of business leaders whose activity, in comparison with others, became profitable and interesting. Relevant to it the development of leaders is in compliance to requirements of the market.

Key words: Business Leader, Market, Economics, Reforms, Development.

ბიზნესის დაწყების აუცილებელი პირობები

მ. ლომსაძე-კუჭავა

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო, თბილისი

შესავალი

ბევრ ადამიანს უტრიალებს თავში საოცარი იდეები ახალი ბიზნესის წამოსაწყებად და დაუოკებელი სურვილი ამ საქმიანობის გაფართოებისა. თუმცა რა არის კონკრეტულად საჭირო? სად მოვიძიოთ შესაბამისი თანხები ან გვჭირდება კი საწყისი კაპიტალი საერთოდ? როგორ შევქმნათ სრულფასოვანი და გამართულად მომუშავე ბიზნეს ორგანიზაცია? ამ კითხვებზე პასუხი სამწუხაროდ ბევრისთვის რთული გასაცემია. სტატიაში აღწერილია ყველა ის საიდუმლო, რაც ბიზნესის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას უკავშირდება - საწყისი კაპიტალის მოძიება (თუ გჭირდებათ რა თქმა უნდა), გაყიდვების სწორი დაგეგმვა და თქვენი ახალი კომპანიის ეფექტური ფორმირება.

ძირითადი ტექსტი

ალბათ ყოველ მეორე ადამიანს აქვს სურვილი ქონდეს კერძო ბიზნესი. ოცნებებში ისინი ხედავენ თავიანთ თავს - როგორ ისვენებენ საკუთარ კუნძულზე, მაგრამ ამ სანუკვარი ოცნების განხორციელებას ხელს უშლის ყველაზე მთავარი - ფული. „ყველაფერი რიგზეა, დამრჩა მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის თანხის მოძიება ბიზნესის წამოსაწყებად“ - ფიქრობს ის და ეს აზრი, როგორც ზღვის ტალღა, მოულოდნელად ატყდება ოცნებაში აგებულ ქვიშის კომკვებს - ცოტა ხნის წინ იგი თავს იწონებდა სასახლეებით, მაგრამ თვალწინ მხოლოდ დამსხვრეული ოცნების კომკვებია.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე შეგვიძლია უამრავი ისეთი მაგალითის მოძიება, როდესაც წლების განმავლობაში მძინარე რევოლუციურმა იდეამ მოულოდნელად ვულკანივით ამოხეთქა და ადამიანების ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1800 წელს ფრანგმა ძმებმა ნიესებმა გამოიგონეს „პირეოლოფორი“ - იგივე შიგა წვის ძრავა. სხვადასხვა მიზეზების გამო (ისტორიული პერიპეტეები, სამეცნიერო წრეებისა და უბრალო ადამიანების მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება) ამ გამოგონებამ მზის შუქი ვერ იხილა. იქნებ ძმებს უფრო ენერგიულად უნდა ემოქმედათ? ფაქტი ერთია, ამ გამოგონებიდან ზუსტად 70 წლის შემდეგ მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა რუდოლფ დიზელის სახელი.

დღეს ძალიან ბევრ ადამიანს თითქოს ხელი აქვს ჩაქნეული. ჩემთვის ცნობილია ბევრი უზღვავი ენერგიის მქონე ადამიანი, რომლებმაც უბრალოდ გვერდზე გადადეს ქალაქის ნაგლეჯებზე დაწერილი თავიანთი გრანდიოზული ბიზნეს-იდეები, შემოდეს თაროზე და არასოდეს ახსენდებათ ისინი, გარდა ერთი შემთხვევისა - როდესაც ნოსტალგია შემოაწვებათ.

თუმცა არსებობს რიგი გზებისა და საშუალებების, თუ როგორ მოვიპოვოთ საწყისი კაპიტალი, რომელი საშუალებაა ყველაზე პოპულარული, ყველაზე კომფორტული და აკადემიური. მომდევნო თავებში ჩვენ ვრცლად განვიხილავთ თითოეულ მათგანს და დასკვნის სახით მოგახსენებთ - გვჭირდება თუ არა საწყისი კაპიტალი საერთოდ?

ყველაფერი, რაც უნდა ვიცოდეთ საწყისი კაპიტალის შესახებ

საწყისი კაპიტალი – ეს არის ფულადი ან სხვა სახის მატერიალური რესურსი, რომელზეც თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენი ბიზნესის წარმოება. ის წარმოადგენს ინვესტიციის გარკვეულ ფორმას, რომელიც მუშაობს მანამ, სანამ თქვენი წარმოება პირველ მოგებას არ მოიტანს.

რა თქმა უნდა, საწყისი კაპიტალის მოცულობა დამოკიდებულია პროექტის მასშტაბურობაზე. დღეს ინტერნეტის ეპოქა გვამღებს საშუალებას დავიწყოთ საკუთარი ბიზნესი სულ რაღაც რამდენიმე ასეულ დოლარად. მაგალითად YouTube-ში ეტაპობრივად ჩაიდო 4 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია. შესანიშნავი იდეაა - გაუზიარო ყველას შენი საყვარელი ვიდეო - მოგებამ კი შეადგინა 1,6 მილიარდი აშშ დოლარი.

მაშ ასე, როგორ მოვიპოვოთ საწყისი კაპიტალი? რა თქმა უნდა პირველ რიგში უნდა მოვიძიოთ თანხები. თუმცა ამას საუკეთესო დასაწყისს ვერ დავარქმევთ.

პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ბევრი დამწყები ბიზნესმენი დაახლოებით ასე ფიქრობს - „ მე მაქვს შესანიშნავი იდეა, მოვიძიებ თანხას, რათა ფრთები შევასხა ჩემს ჩანაფიქრს, შემდეგ კი შევხვდები მყიდველს და ბიზნესიც დაიძვრება.“ თუმცა ასეთი ალგორითმი როგორც წესი არაეფექტურია.

საქმე იმაშია, რომ უკვე მზა პროდუქტით პირდაპირ ბაზარზე გასვლის მცდელობა თავიდანვე კრახისთვისაა განწირული. რატომ? ბაზარზე სავარაუდოდ უკვე არსებობს თქვენი ნაწარმის მსგავსი საქონელი და არაერთი. ამიტომ თავიდან საჭიროა ბაზრის შესწავლა, იმის გაგება თუ რა სჭირდება დღეს ბაზარს, რა სახის მოთხოვნები გვაქვს სახეზე. ამ ინფორმაციის ზუსტად გაანალიზების შემდეგ კი უკვე შესაძლებელია ბიზნეს საქმიანობის დაწყება.

ჩემთვის ცნობილია ასობით მაგალითი, როდესაც კონკრეტული ადამიანები და მთელი კომპანიებიც კი, რომლებმაც დიდი ინვესტიციები ჩადეს, რათა შესულიყვნენ ბაზარზე უკვე დავიწყებული და მყიდველისათვის უინტერესო ნიშით. შემდეგ კი სასოწარკვეთილი და უიმედო ხმით მეკითხებოდნენ: „-როგორ მოვიქცეთ ახლა? როგორ გავყიდოთ ყოველივე ეს? როგორ მოვიზიდოთ მყიდველები?“ ფულადი რესურსების მოპოვება, გარშემომყოფთათვის დახმარების ხელის გაწევა - აი ბიზნესის საუკეთესო ვარიანტი!

კომპანიების 90 პროცენტი, როგორც წესი, იქმნება და ყალიბდება საკუთარი ფულით: ანაზღაურება, სტიპენდიები, დანაზოგი. ადამიანები თანხას დებენ კონკრეტულ პროექტში მოგების მიზნით, გადადგამენ პირველ ნაბიჯს და ნელ-ნელა გრძნობენ ბიზნესის განსავითარებლად საჭირო თანხის ნაკლებობას. ამ შემთხვევაში რჩება ერთადერთი გამოსავალი - სესხება.

დასავლეთში ადამიანები სესხს იღებენ მეგობრებისგან და ნათესავებისაგან. აფორმებენ საბანკო სესხის ხელშეკრულებას შესაბამისი უძრავი ქონების უზრუნველყოფით. მე ვიცნობ ადამიანს, რომელმაც ერთბაშად გადაწყვიტა დიდი მოცულობის სესხის გაკეთება. თუმცა მე არ ვარ იმის მომხრე, რომ წლიურად საბანკო დავალიანების გამო გიწევდეს შენი შემოსავლების 20-24 % -ის გადახდა.

მაშ ასე, სესხი ეს არის ყველაზე სტანდარტული და გავრცელებული მიდგომა საწყისი კაპიტალის მოსაპოვებლად. სესხის აღების სამი მთავარი გზა არსებობს: საკუთარი თავი, ნაცნობები და მეგობრები, ბანკი.

თუ სხვა გზა არ რჩება, ისესხე ფული საკუთარი თავისგან

თუ თანხის სესხებას ვერ ახერხებთ და ვერც სხვა რაიმე გამოსავალს ხედავთ, იქნებ...საკუთარი თავისგან ისესხოთ?! შეიძლება რაიმე საგვარეულო ძვირფასი ნივთი მიიტანოთ ლომბარდში (თუმცა როგორ მიიღებენ ამას თქვენი ოჯახის წევრები ეს უკვე სხვა თემაა) ან გაყიდოთ საკუთარი

ავტომობილი. იქნებ გირჩევნიათ ფულის დაგროვება დაიწყოთ და ოცი წლის შემდეგ, 50 წლის ასაკში წახვიდეთ რიო-დე-ჟანეიროში მუდმივი საცხოვრებლის უფლებით? არა გმადლობთ! ყველაფერი მინდა დღეს და ახლავე!!!

იმ შემთხვევაშიც კი თუ ფულის შეგროვება მოგიწევთ არა 20, არამედ ვთქვათ 2-3 წელი, ამ დროის განმავლობაში თქვენ რამდენჯერმე მოასწრებდით საკუთარი კომპანიით მეცხრე ცაზე ასვლასაც და უიმედოდ მიწაზე დანარცხებასაც.

კიდევ ერთი საშუალებაა დატვირთოთ იპოთეკით თქვენი ბინა ან კერძო სახლი. ბევრს ეს ნაბიჯი სწორად მიაჩნია, რადგან ფიქრობენ, რომ თანხასაც მიიღებენ და ღია ცის ქვეშ არავინ დატოვებს. მაგრამ კოვზი შეიძლება ნაცარში ჩაგივარდეთ. შესაძლებელია კრედიტის აღებაც. მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარა ნაკლებობაა თქვენთვის სასარგებლო პირობებისა. შენახვის, დაბრუნებისა და ოვერდრაფტის პირობები ყველა ბანკს სხვადასხვა აქვს. დიდი რაოდენობის თანხას გრძელვადიანი პირობით ამ გზით ვერ მიიღებთ.

მაშ რაშია გამოსავალი? თუ მცირე რაოდენობის თანხა გჭირდებათ, ჯობია ისევ თქვენს თავს სთხოვოთ. მაგრამ გახსოვდეთ ყველაზე მთავარი - დარწმუნებული უნდა იყოთ თქვენი ბიზნეს-გეგმა უახლოეს მომავალში მოგიტანთ სულ მცირე მოგებას მაინც.

ყველაზე ცუდი ვარიანტი: სესხი ახლობლებისგან ან მეგობრებისგან

რა თქმა უნდა თანხა შეგვიძლია ვისესხოთ ახლობლებისგან ან ნათესავებისგან. შესანიშნავი ვარიანტია არა? - უარს არ გეტყვიან და აუცილებლად გასესხებენ. ისინი ხომ თქვენი ნათესავები არიან, ასე რომ ზოგჯერ ცოტა დაგვიანებაც შეიძლება. ისესხოთ თანხა ნაცნობ-მეგობრებისგან ეს ყველაზე ცუდი ვარიანტია, რომელიც თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ. გასურთ დაცილდეთ თქვენს მეგობარ გოგონას? ისესხეთ მისგან თანხა და შემდეგ აღარ დაუბრუნოთ. გინდათ თქვენი საუკეთესო მეგობარი დაკარგოთ? სთხოვეთ გარკვეული რაოდენობის თანხა და შემდეგ უბრალოდ დაივიწყეთ დაბრუნება. შეიძლება ყელამდე ჩაეფლოთ ვალებში - თქვენი საუკეთესო მეგობარი ამას გაპატიებთ, მაგრამ თქვენი მეგობრობა კი აუცილებლად დასრულდება. თქვენი სამეგობრო და სანათესაო ეს განსაკუთრებული ადგილია, რომელიც მალევე გადაიქცევა დანაღმულ ველად, როგორც კი თანხის მოძიებასა და სესხებას გადაწყვეტთ.

სასურველია ვისესხოთ მხოლოდ მცირე რაოდენობის თანხა. თუ ბევრი გჭირდებათ, უმჯობესია მოძებნოთ შესაბამისი ფიზიკური პირები ან კომპანიები - ანუ ისინი, ვისთვისაც სესხის გაცემა პროფესიული საქმიანობაა.

შეგიძლიათ მიმართოთ ბანკსაც და კრედიტი აიღოთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ბიზნესი მალევე მოიტანს პირველ მოგებას, ამ თანხის რაღაც ნაწილი აუცილებლად დაგჭირდებათ საბანკო პროცენტების დაფარვაში.

ინვესტორების ძიება. რაუნდი პირველი. ბიზნეს-ანგელოზები. ბრიჯ-კრედიტი

ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზები“ - ესენი არიან საშუალო ან უფროსი ასაკის პროფესიონალები უმაღლესი განათლებით (ძირითადად ბიზნესის ადმინისტრირების, საინჟინრო ან საბუნებისმეტყველო სფეროებში). ზოგიერთი მათგანი წარმატებული მეწარმეა, სხვები კი მაღალანაზღაურებადი პროფესიონალები არიან (ბუღალტრები, კონსულტანტები, ადვოკატები, წარმატებული კომპანიების

აღმასრულებელი დირექტორები). მათთვის ფინანსური დახმარების თხოვნა საკმაოდ საინტერესო საშუალებაა საწყისი კაპიტალის მოსაპოვებლად. პირობები კი ყველას სხვადასხვა აქვს. საქმის მთავარი არის კი მდგომარეობს იმაში, რომ ბიზნეს-ანგელოზები მზად არიან უმაღლეს გავიდნენ თქვენი საქმიდან, როგორც კი ბიზნეს ურთიერთობაში ინვესტორი გამოჩნდება. ინვესტორებს არ უყვართ ისინი და მაქსიმალურად გაურბიან მათთან ურთიერთობას. ასე რომ ბიზნეს-ანგელოზები მხოლოდ საწყის ეტაპზე - კომპანიის განვითარებაში გეხმარებიან.

საშუალო მოცულობა იმ ინვესტიციისა, რომელიც მზადაა გაიღოს ბიზნეს-ანგელოზმა, შეადგენს 50-100 ათას აშშ დოლარს. ისინი იღებენ აქციების დიდ პაკეტს. მაგალითად, თუ საწყის ეტაპზე კომპანია შეფასებულია 100 ათას აშშ დოლარად, ბიზნეს-ანგელოზს შეუძლია მიიღოს აქციების 40 პროცენტი 40 ათას დოლარად. ხოლო თუ კომპანია შეფასებულია ერთ მილიონ აშშ დოლარად, მას შეუძლია მიიღოს აქციების 10 პროცენტი, შესაბამისად 100 000 დოლარად. იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე ინვესტორი ჩნდება და კომპანიის თვითღირებულება 5 მილიონი აშშ დოლარი ხდება, ბიზნეს-ანგელოზი იღებს კუთვნილ ერთ მეორედს/მესამედს/მეხუთედს და მაშინვე გადის საქმიდან. მას ასეთი პირობები სავსებით აკმაყოფილებს.

არსებობს დაფინანსების კიდევ ერთი სახეობა - ბრიჯ-კრედიტი. დაფინანსების ეს ფორმა გულისხმობს კომპანიის განვითარების ხელშეწყობას ვენჩურულ ეტაპზე - როდესაც კომპანიამ ამოწურა ყველა ფინანსური საშუალება და შემდგომი განვითარებისათვის რაღაც გარკვეული თანხა საჭირო. ასეთ დროს საქმეში ერთვება იმ ინვესტორთა სინდიკატი, რომელთაც წარსულში უკვე დააფინანსეს აღნიშნული ბიზნესი. ასევე არსებობს სპეციალური ვენჩურული ფონდები, რომლებიც მხოლოდ ბრიჯ-კრედიტზე არიან ორიენტირებულნი. ამ სახის ფონდებს მეწარმეები მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორები გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ აფინანსებენ კონკრეტულ ბიზნესს.

ბრიჯ-კრედიტის გაცემა ხდება განსაზღვრულ ეტაპებზე. მხოლოდ პირველ ეტაპზე აღებული სასესხო ვალდებულების გასტუმრების შემდეგ შესაძლებელია ახალი კრედიტის მოთხოვნა. ასევე შესაძლებელია ე.წ. „კონვერტირება“. ეს საშუალებას აძლევს მფლობელებს მოახდინონ აქციების კონვერტირება დაფინანსების შემდგომ ეტაპამდე. როგორც წესი, წლიური სასესხო განაკვეთი ბრიჯ-კრედიტის შემთხვევაში შეადგენს 8 პროცენტს, კონვერტირების შემთხვევაში კი მფლობელები იღებენ აქციათა ღირებულების 5-15 პროცენტთან ფასდაკლებას.

როდის არის ყველაზე მისაღები ბრიჯ-კრედიტის გამოყენება? დაფინანსების შემდეგ ეტაპზე გადასვლისას. ძირითადად მას იყენებენ ბაზარზე აქციებით გასვლის წინ. მთავარ მიზანს კი წარმოადგენს ნაღდი ფულის მაქსიმალური შენარჩუნება, ყველა საჭირო ოპერაციის ჩასატარებლად.

ინვესტორების ძიება. რაუნდი მე-2. ვენჩურული კაპიტალი. უსწრაფესი გზა მეგაინვესტორის მოსაძებნად

თუ თქვენ ვერ ახერხებთ საკუთარი გზებით თანხების მოძიებას, სხვა საშუალებაც არსებობს. შეგიძლიათ ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო თანხის მოძიება სხვას გადაულოცოთ ანუ მოძებნოთ ინვესტორი. ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის თანხა გჭირდებათ.

ბევრისთვის ბიზნესის წამოსაწყებად პანაცეას წარმოადგენს ცოტა „მოსულელო“ ინვესტორის მოძიება: „მოდით მოვძებნოთ ვინმე, ვინც მზად იქნება სასწრაფოდ და ზედმეტი კითხვების გარეშე დააფინანსოს ჩვენი ბიზნესი!“. იწყება ასეთი ბიზნეს-პარტნიორის ან ინვესტორის ძებნა, რომელიც დაუფიქრებლად და ჩუმად გასცემს ნაღდი ფულს.

სამწუხაროდ ასეთი გამოუცდელი ინვესტორები თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ცოტაა. ბუნებრივია ბევრისთვის რთულია გასცეს საკუთარი თანხა გარკვეული ვადით ან ზოგჯერ საერთოდ დაკარგოს ის (რაც ძალიან ხშირია ბევრი სტარტაპის დაფინანსების დროს).

ბევრ პოტენციურ ინვესტორთან ყოველდღიურად მიდის უამრავი ენთუზიაზმით სავსე ადამიანი გენიალური იდეებით. თუმცა ისინი მალევე ხვდებიან ფილტრში - მდიდარი ადამიანი ინტერესდება თვითონ ინვესტიციის მაძიებელმა თუ გაიღო სულ მცირე თანხაც კი საკუთარი ბიზნესის განსავითარებლად. თუ პასუხი უარყოფითია, მაშინ ეს ინვესტორისთვის ძალიან დიდი რისკს გულისხმობს და იგი მარტივად იტყვის უარს. დამეთანხმეთ, არავის სურს საკუთარი ფული უაზროდ დაკარგოს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია დასავლეთის ქვეყნებისათვის - ინვესტიციების ჩადება ხდება მხოლოდ ისეთ კომპანიებში, სადაც უკვე წარსულში გაიცა გარკვეული რაოდენობის თანხა. ეს მაქსიმალურად გამორიცხავს ინვესტორისათვის ისეთ შემთხვევას, როდესაც თქვენ მოისურვებთ მის ფულთან ერთად გაქცევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგაძე თ., ინვესტიციური პროცესების ძირითადი ტენდენციები, „ეკონომიკა“, 2001, №3-4.
2. წიკლაური გ., უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“. №6. 2002.
3. სიჭინავა ა., „ინვესტიციები თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია მართვა“, თბ. 2010 წ.
4. ლომსაძე-კუჭავა მ. „საინვესტიციო პროექტის შედგენის მეთოდოლოგია“, საერთაშორისო ჟურნალი გლობალიზაცია და ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემები საქართველოში, „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი 2010წ.
5. Ломакин М.И. Модели оптимального портфеля ценных бумаг. М: ВУ. 2001.69; Лукашов А.В., Могин А.Е. IPO от I до O: Пособие для-финансовых директоров и инвестиционных аналитиков. М.: Альпина Бизнес Букс: 2007.
6. Рытиков. Рытиков С.А. Оптимизация стратегии организации и финансирования инвестиционного процесса // Цветные металлы, 2005, №7, С.4-13.
7. ლომსაძე-კუჭავა მ., მცირე ბიზნესი, სტუ, 2006 წ.

რეზიუმე

მაია ლომსაძე-კუჭავა

ბიზნესის დაწყების აუცილებელი პირობები

სტატიაში განხილულია ბიზნესის დაწყების ძირითადი პირობები და ხელისშემშლელი ფაქტორები. განხილულია რჩევები საწყისი კაპიტალის მოძიების თაობაზე. ჩამოყალიბებულია ბიზნეს იდეების შეფასების კრიტერიუმები. მოყვანილია მაგალითები ბიზნესის განვითარებაზე. მოცემულია ინვესტორის მოძიების საგულისხმო საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, კაპიტალი, ინვესტორი, ბანკი, კრედიტი.

Резюме

Майя Ломсадзе-Кучава

Необходимые условия для начала бизнеса

В статье рассматриваются основные условия для начала бизнеса и препятствующие этому факторы. В статье обсуждаются советы по поиску начального капитала. Сформулированы критерии оценки бизнес-идей. Приведены примеры развития бизнеса. Рассматриваются вопросы, важные для поиска инвестора.

Ключевые слова: Бизнес, капитал, инвестор, банк, кредит.

Summary

Maia Lomsadze-Kuchava

The necessary conditions for starting a business

The article discusses the basic conditions for starting a business and hindering factors. Discusses tips on finding initial capital. Assessment criteria for business ideas are established. Examples of business development are given. Questions that are important for investor search are considered.

Keywords: Business, capital, investor, bank, credit.

ეკონომიკა

საქართველოს საგადასახადო სისტემის პრობლემები და მათი დაძლევის გზები

ვალერი კატუკია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

შესავალი

საგადასახადო სისტემის სრულყოფა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მხოლოდ გამართული საგადასახადო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკური საფუძველი გახლავთ ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება. სახელმწიფოს მიერ გატარებული საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. ჩვენი ქვეყნის მიზანია შექმნას მოქნილი და მიზანდასახული საგადასახადო სისტემა, რომელიც ადვილად შეეწყობა მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას და დროის ნებისმიერ მომენტში ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებას შეძლებს.

ძირითადი ტექსტი

ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნა რთული პრობლემაა და პოლიტიკურ წრეებსა თუ ბიზნესის წარმომადგენლებს შორის მუდმივი განხილვის საგანია. მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერაც ვერ შეუქმნია ყველასათვის მისაღები საგადასახადო მოდელი. საქართველოს საგადასახადო სისტემა, მიუხედავად მრავალმხრივი ცვლილებებისა, ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან.

შემოსავლების გადანაწილების სახელმწიფო მექანიზმში დიდი როლი საგადასახადო დაბეგვრას აკისრია. სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების დაწესებით ხაზინაში აწარმოებს შემოსავლების მობილიზებას. სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯები, მათი განაწილება წყაროებისა და მიმართულებების შესაბამისად, ბიუჯეტის სახით წარმოდგება. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში პრიორიტეტულია თავდაცვის, სოციალური და მართლწესრიგის ხარჯები.

ტრანსფორმაციული ეკონომიკის პირობებში საბიუჯეტო ურთიერთობების ერთ-ერთ წინააღმდეგობას, ამ სფეროში, ინსტიტუციური და სამართლებრივი სისტემის კრიზისი წარმოადგენს, რაც უპირატესად საბიუჯეტო სახსრების არაგონივრულ და არამიზნობრივ ხარჯებში გამოიხატება.

ყურადღება უნდა მიექცეს ინფლაციის პირობებში საგადასახადო დაბეგვრას მისი ტემპების შესაბამისად, რისთვისაც აუცილებელია ხელფასების ინდექსაცია, რის გარეშეც შეუძლებელია საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში შემოსულობის სტაბილიზაცია. ასევე უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის ხარჯების ინდექსირება. აუცილებელია საგადასახადო განაკვეთების

შემდგომი კორექტირებით შეიქმნას საგადასახადო ბაზის შემდგომი გაფართოების პირობები, რომელიც უცილობლად ხელს შეუწყობს სამეურნეო აქტივობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვასა და დასაქმების ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობები დაეცემა. შეიზღუდება საგადასახადო ბაზა, რითაც ბიუჯეტის დეფიციტის ხანგრძლივი შენარჩუნების პირობები შეიქმნება. ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დაწესებით საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგებით მას შეუძლია გააფართოს საწარმოო სიმძლავრეები, დანერგოს უახლესი ტექნიკა და გახდეს კონკურენტუნარიანი.

წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და აბსოლიტურად ვიზიარებთ საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის დაბეგვრის პრინციპების მტკიცედ დაცვას, რაც მოიცავს გადასახადების დიფერენცირებას შემოსავლების მიხედვით, გადასახადების ამოღების ვადების დაცვას, გადასახადების გადამხდელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. გადასახადების განაკვეთების დადგენისას მნიშვნელოვანია საგადასახადო ოპტიუმის დაცვა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებასა და გადასახადის გადამხდელთათვის შემოსავლების იმ ნაწილის დატოვებას, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების მასშტაბების გაფართოებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

2003 წლიდან საქართველოს საგადასახადო გარდაქმნების კუთხით გარკვეულწილად წარმატებული რეფორმები გატარდა, რამაც პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა საქართველოს საგადასახადო სისტემის, როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ ხასიათში, თუმცა მას არ მოჰყოლია ის შედეგი, რაც დღეისათვის ქვეყნის განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას მოითხოვს.

ჩვენი ქვეყნის საგადასახადო სისტემა სრულყოფილად ვერ გახდა ქვეყნის ეკონომიკური პროცესების რეგულატორი. ჯერ კიდევ ჭირს საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების რეალიზაცია და შეთანაწყობა.

მთლიანად ვეთანხმებით იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- საგადასახადო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- საგადასახადო სისტემის მაქსიმალურად გამარტივება;
- საგადასახადო შეღავათების მინიმუმამდე შემცირება;
- პირდაპირი და არაპირდაპირი ოპტომალური თანაშეწყობა;
- საგადასახადო განაკვეთების გონივრული შემცირებით საგადასახადო პრესინგის შესუსტება;
- ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის სრულყოფა ინფლაციისა და საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით;
- საქონელმწარმოებელზე, მომხმარებელსა და კაპიტალზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურად გადანაწილება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგადასახადო სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. საწყის ეტაპზე ეს პროცესი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული პროგრამის გარეშე. საგადასახადო სისტემის პირდაპირმა გადმოღებამ მრავალი წინააღმდეგობა წარმოშვა საბიუჯეტო დაგეგმვაში. ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რაც მთავრდებოდა საბიუჯეტო დეფიციტითა და სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრებით. დღეისათვის განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, საქართველოს საგადასახადო სისტემას ჯერ კიდევ გააჩნია გადაუჭრელი პრობლემები, რომელთა აღმოსაფხვრელად გაზიარებული უნდა იქნეს მეცნიერების, ექსპერტებისა და სპეციალისტების აზრი იმის თაობაზე, რომ თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადები ვერ შეასრულებს განვითარებადი ქვეყნის მოთხოვნებს, გამართულად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემით, მაშინ მოქმედი საგადასახადო სისტემა ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ძალად იქცევა.

საგადასახადო დაგეგმვის სფერო არაერთგვაროვანია. მოიცავს საბიუჯეტო, საგადასახადო და კორპორაციულ დაგეგმვას. მნიშვნელოვანია აგრეთვე რეგულირება, რომელიც საგადასახადო მენეჯმენტის ყველაზე მობილური სფეროა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების დღიდან გადასახადების დაბეგვრის სისტემაში განსაკუთრებული როლი ითამაშა საგადასახადო კონტროლის ფუნქციამ. საგადასახადო კონტროლი დაკისრებული აქვს შემოსავლების სამსახურს, რომელთაც ევალუატიონით საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის ორგანიზაცია და ცხოვრებაში გატარების ვალდებულება, გადასახადების გაანგარიშების სისწორე, შესაბამის ბიუჯეტში გადასახადების შეტანის სისრულე და დროულობა, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სავალუტო კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლი.

კონტროლის მოქმედების მთელი სპექტრი ორიენტირებულია გადასახადებისა და მოსაკრებლების სრულად შეგროვების უზრუნველყოფაზე. გადასახადების შეგროვების მიმართულებით, სამუშაოს ორგანიზაციის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელების აღრიცხვა. რაც უფრო წინააღმდეგობრივია საგადასახადო კანონმდებლობა, მით უფრო ძნელია საგადასახადო კონტროლის განხორციელება. საგადასახადო კონტროლის ამადლებას ხელი უნდა შეუწყოს ამ მიმართებით შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლის ეფექტიანობამ.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საგადასახადო შეღავათების გამოყენება, რითაც შესაძლებელია ეროვნული მეურნეობის რეგიონებისა და დარგების განვითარების სტიმულირება ან შეფერხება.

საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია საგადასახადო დაბეგვრის მტკიცედ დაცვა. კერძოდ:

1. გადასახადების დიფერენცირება შემოსავლების შესაბამისად;

2. გადასახადების გადამხდელთათვის ბიზნესის გაფართოების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი პირობების შექმნა;
3. გადასახადების ამოღების ხარჯების შემცირება;
4. შეღავათების რაციონალური გამოყენებით საგადასახადო ტვირთის ოპტიმუმის დაცვა - გადამხდელის შემოსავლის 35-40 პროცენტი;
5. ქვეყნის საგადასახადო სისტემა ეკონომიკური პროცესების რეგულატორი უნდა იყოს, რათა განახორციელოს საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების რეალიზაცია და შეთანაწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კატუკია ვ. „ინსტიტუციურ-მართვებლობითი ურთიერთობები ბიზნესის სფეროში“. ჟ. სოციალური ეკონომიკა. 2016 წ. 2.
2. ფუტყარაძე ს., ცინარიძე რ. „სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია-ყულფი გადასახადების გადამხდელთათვის“, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. ოქტომბერი. 2010 წ. თბილისი.
3. ფუტყარაძე ს., „როგორ წავიკითხოთ საგადასახადო კოდექსი“. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. თებერვალი. 2011 წ. თბილისი.
4. შონია ნ. „ბიზნეს გარემოს განვითარების ზოგიერთი ასპექტები საქართველოში“. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. თებერვალი. 2012 წ. თბილისი.
5. ხმალაძე ვ. , შავიშვილი ი. , ხატიაშვილი დ. , მიგრიაული ლ. „საქართველოს აგადასახადო კოდექსის კომენტარები“.
6. Mike D'AVOLIO, "4 Tax code changes small-business owners should know about" - <https://www.entrepreneur.com/article/243810>
7. საქართველოს 2012 წლის 27 მარტისკანონი №5942 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.

რეზიუმე

ვალერი კატუკია

საქართველოს საგადასახადო სისტემის პრობლემები და მათი დაძლევის გზები

სტატიაში გადმოცემულია საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის პრობლემები და მისი დაძლევის გზები. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო სისტემის მიღწევები საქართველოს საგადასახადო სისტემის შექმნისა და განვითარების საქმეში საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე. ამასთან, მივანიშნებთ იმ პრობლემებსა და ხარვეზებზე, რაც კვლავაც ახასიათებს საქართველოში მოქმედ საგადასახადო სისტემას. სახელმწიფოს განვითარების ეკონომიკური საფუძველი გახლავთ ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება.

საგადასახადო დაგეგმვის სფერო არაერთგვაროვანია. მოიცავს საბიუჯეტო, საგადასახადო და კორპორაციულ დაგეგმვას. მნიშვნელოვანია აგრეთვე რეგულირება, რომელიც საგადასახადო მენეჯმენტის ყველაზე მობილური სფეროა.

საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია საგადასახადო დაბეგვრის მტკიცედ დაცვა. კერძოდ:

1. გადასახადების დიფერენცირება შემოსავლების შესაბამისად;
2. გადასახადების გადამხდელთათვის ბიზნესის გაფართოების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი პირობების შექმნა;
3. გადასახადების ამოღების ხარჯების შემცირება.

საკვანძო სიტყვები :საგადასახადო სისტემა, დაბეგვრა, ეკონომიკური პოლიტიკა, ინვესტიციები, ინფლაცია.

Резюме

Валери Катукиа

Проблемы Грузинской налоговой системы и пути их одоления

В статье изложены проблемы усовершенствования налоговой системмы Грузии и пути их одаления. В труде представлены достижения налоговой системмы Грузии, в деле его создания и развития, со времен преобретения независимости, по сегодняшний день. Так же обращается внимание тем проблемам и недостаткам, которые все еще характеризуют действующую в Грузии налоговою системму. Экономической основой развития государства являются финансовые ресурсы, которые формируются в основном налогами, их мобилизацией в государственный бюджет.

Сфера налогового планирования неоднозначна, она объединяет в себе бюджетное, налоговое и корпоративное планирование. Значимо так же регулирование, которое является мобильной сферой налогового менеджмента.

Для усовершенствования налоговой системмы обязательно строгое соблюдение налогообложения, в частности:

1. Диференциация налогов в зависимости от доходов;
2. Создание благоприятных условий для расширения бизнеса налогоплательщиков,
3. Снижение расходов при сборе налоговых средств.

Ключевые слова: Налоговая системма, налогообложение, экономическая политика, инвестиции, инфляция.

Summary

Valerie Katukia

The problems of the Georgian tax system and ways to overcome them

The article outlines the problems of improving the tax system of Georgia and ways of their emancipation. The work presents the achievements of the tax system of Georgia, in the matter of its creation and development, from the time of gaining independence, to the present day. It also draws attention to the problems and shortcomings that still characterize the tax system operating in Georgia. The economic basis for the development of the state is financial resources, which are formed mainly by taxes, by their mobilization to the state budget.

The sphere of tax planning is ambiguous, it unites in itself budgetary, tax and corporate planning. Much the same is regulation, which is a mobile sphere of tax management.

To improve the tax system, strict observance of taxation is mandatory, in particular:

1. Tax differentiation depending on income;
2. Creating favorable conditions for expanding the business of taxpayers,
3. Reducing costs when collecting tax funds.

Keywords: Tax system, taxation, economic policy, investment, inflation.

ჯანდაცვა

რეკრეაციული საქმიანობის თავისებურებები საქართველოში

ანა ზედგინიძე, მათა გონაშვილი

შესავალი

მსოფლიოს ქვეყნებში, ასევე, საქართველოში, დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის თავისუფალი დროის ეფექტიანად გამოყენებას. ადამიანები თავისი საქმიანობის და ხასიათის მიხედვით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავისებურად იყენებენ თავისუფალ დროს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ოჯახთან ან ნაცნობ-მეგობრებთან ერთად. თავისთავად ცხადია, ამის საფუძველს წარმოადგენს მისი შესაძლებლობები. რის შესაბამისად შეირჩევა დასვენების ესა თუ ის ფორმა.

ასეთი მიდგომით რეკრეაციაში შეიძლება გავითვალისწინოთ დასვენების, აღდგენისა და გაჯანსაღების ფუნქციების შემაჯამებელი თვისება. თუმცა საზღვარგარეთის ქვეყნებში რეკრეაციით მოიაზრება დასვენება, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს დამსვენებელთა გახარჯული ძალებისა და შრომისუნარიანობის აღდგენა. დასვენება შეიძლება გამოხატული იყოს აქტიური, რომელიც ითვალისწინებს სარეკრეაციო საქმიანობის სახის ცვლილებას (სპორტი, ტურიზმის სხვადასხვა სახე და ა. შ.) ასევე პასიური, რაც ხასიათდება აქტიურობის მკვეთრად შემცირებით. როცა რეკრეაციული რესურსების გამოყენება მიზანმიმართულად იმართება ამ პროცესს უწოდებენ ორგანიზებულ დასვენებას.

ძირითადი ტექსტი

რეკრეაცია წარმოადგენს ადამიანის მიერ შრომის პროცესში დახარჯული ენერჯისა და ძალის ინდივიდუალურად, ორგანიზებულად ან არაორგანიზებულად აღდგენას, განსაზღვრული ენერჯის დაგროვებას, ფიზიკური და სოციალური დასვენებისა და მომავალი საქმიანობისათვის ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას. აქ შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი თვისებურება: ადამიანის დახარჯული ძალის აღდგენა და ძალის მოკრების პროცესი უნდა ხდებოდეს საკუთარი საცხოვრებლის გარეთ ანუ შვებულების პერიოდში ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად, ორგანიზებულად ან არაორგანიზებულად იღებდეს მონაწილეობას ტურისტულ სვლაში ან დასასვენებელ ობიექტებზე (სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და ა.შ.).

სარეკრეაციო საქმიანობის განვითარებისა და რეკრეაციული ობიექტების ეფექტიანად მართვის მიზნით გამოიყენება ქვეყნის რეკრეაციული პოტენციალი, რომელიც მოიცავს ბუნებრივ და კულტურულ სერვისებს. მათ შორის: ჰიდრომინერალური, კლიმატური, წყლის, ტყის, მთის, ზღვის სანაპირო რესურსები, კულტურულ-ისტორიულ ქალაქები, ქანდაკებები, მემორიალი, უნიკალური ტექნიკური ნაგებობები, ხეობები, კარსტული გამოქვაბულები, პარკები, ნაკრძალები და სხვა. რეკრეაციულ რესურსებს ასევე მიეკუთვნება ტურიზმის მრავალსახა, სამკურნალო-პროფილაქტიკული, საკურორტო, გამაჯანსაღებელი, სპორტული, საექსკურსიო-ტურისტული, შემეცნებითი და სხვა რესურსები.

რეკრეაციული გამოყენების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებს, როგორც განსაკუთრებულად დაცულ ობიექტებს, ისინი იქმნებიან ბუნებრივი

კომპლექსების შესანარჩუნებლად და გააჩნიათ განსაკუთრებული ეკოლოგიური, ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებები.

ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფების სასურველი და ეფექტიანი შეხამების მიხედვით რეკრეაციული რესურსები გამოიყენება საგანმანათლებლო, სამეცნიერო კულტურული საქმიანობისათვის. ეროვნული და საერთოდ პარკების რეკრეაციული ზონა განსაკუთრებით ეფექტიანად გამოიყენება ექსკურსიების, ტურისტული ლაშქრობების დასანატორიულ მკურნალობის ჩასატარებლად. რეკრეაციული რესურსების სახეებს წარმოადგენს: ტურიზმის რესურსები, სამკურნალო-პროფილაქტიკური რესურსები და სხვა. რესურსების ფუნქციებს მიეკუთვნება საკურორტო, სამკურნალო გამაჯანსარებელი, სპორტული, საექსკურსიო-ტურისტული ან შემეცნებითი და ა.შ.

საზღვარგარეთულ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულ ტერმინებში "სარეკრეაციო ობიექტები", "რეკრეაციული ტერიტორია", "ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა", ობიექტი განისაზღვრება, როგორც "ნებისმიერი გამოყოფილი, ფართობით შეზღუდული ადგილი, რომელსაც გააჩნია დასვენებისთვის მიმზიდველი თვისებები", ხოლო რეკრეაციული ტერიტორია-ესაა ხმელეთის ან წყლის ზედაპირის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანების დასვენებისათვის, მათი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღსადგენად. ამგვარად, რეკრეაციული ობიექტები თუ რეკრეაციული ტერიტორია ორივე შემთხვევაში, ესაა სივრცე რომლის საზღვრებში იმყოფება ერთი ან რამდენიმე სარეკრეაციო ობიექტი, ტერიტორიული რეკრეაციული სისტემები, რომლებიც განლაგებულია კომპაქტურად ან გაბნევით და ასრულებენ რამდენიმე სარეკრეაციო ფუნქციას.

ტერიტორიებისა და სისტემების ობიექტებს, რომლებიც განსაზღვრული პირობების მიხედვით შეიძლება მონაწილეობდნენ რეკრეაციული საქმიანობის პროცესში, ჩართული არიან, როგორც წესი კულტურისა და ბუნების საგანძურში. ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობისას საქართველოში მოქმედებდა 27.04.1981 წელს მიღებული დებულება "სახელმწიფო ნაკრძალების ბუნების საგანძურის, ბოტანიკური ბაღებისა და დენდროლოგიური პარკების, ზოოლოგიური თაღების, ნაკრძალებისა და ბუნებრივი ეროვნული პარკების შესახებ"; გამოცხადებულია უნიკალური ან ტიპური, ფასეული, როგორც მეცნიერულ, კულტურულ-შემეცნებით ან გამაჯანსაღებელი თვალსაზრისით, ბუნებრივი ობიექტები, რომლებსაც მიეკუთვნება მდინარის, ტბის, სანაპიროს და ღირშესანიშნავი მთების ლამაზი ნაწილები და ცალკეული ობიექტები იშვიათი გეოლოგიური მოშიშვლება, სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ეტალონური ნაწილები, ჩანქერები, გამოქვაბულები, ცალკეული იშვიათი ან ისტორიულად ღირებული ხეები, მინერალური წყაროები, ლამაზი კლდეები, მეტეორიტული კრატერები, ვულკანური ღრმულები, იშვიათი და შორეულ ისტორიული ნაკვალავი (სათაფლია), მრავალსართულიანი გამოქვაბულები (ცუცხვათი) და სხვა. ასევე ხელოვნური წარმოშობის ბუნებრივი ობიექტები: უძველესი ტყეები და პარკები, მიტოვებული არხების ნაწილები, კარიერები, წყალსატევები და სხვა. ბუნებრივ საგანძურს შეიძლება მივაკუთვნოთ ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიები. კულტურულ ძეგლებს შეიძლება მივაკუთვნოთ არქიტექტურულ-სამშენებლო, არქეოლოგიური, საკულტო და სხვა ანალოგიური ობიექტები, რომელთა განსაკუთრებული მნიშვნელობა განმტკიცებულია იურიდიულად.

ამგვარად, ბუნებისა და კულტურის ძეგლები შეიძლება წარმოადგენდეს რეკრეაციულ ობიექტებს, როგორც მისი საქმიანობის ძირითად გამომხატველს, რომლის მიზეზია დამსვენებელთა მიერ განსაზღვრული ლანდშაფტის საგანძურის თუ ძეგლის დათვალიერება.

რეკრეაციული გამოყენების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებს, როგორც განსაკუთრებულად დაცული ობიექტებსა. პირველი ეროვნული პარკი მსოფლიოს მასშტაბით გაიხსნა აშშ-ში 1872 წელს. დღეს ის მეტად გავრცელებული სახეა. იგი იქმნება ბუნებრივი კომპლექსების შესანარჩუნებლად, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული

ეკოლოგიური, ისტორიული და ესთეტიკური თვისებები, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების სასურველი შეხამების მიხედვით რეკრეაციული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ეროვნული პარკების რეკრეაციული ზონა გამოიყენება ექსკურსიების, ტურისტული ლაშქრობის, სანატორიულ-კულტურული მკურნალობის ჩასატარებლად.

რეკრეაციულად მიგვაჩნია ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა, რომელშიდაც შედის სხვადასხვა ფუნქციონალური სარეკრეაციო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფუნქციონალურ სარეკრეაციო საქმიანობას (სამკურნალო, გამაჯანსაღებელი, სპორტული) ამ დაწესებულებებს შეიძლება მივაკუთვნოთ. სანატო-რიუმები, კურორტები, დასასვენებელი სახლები, საექსკურსიო ცენტრები, ტურისტული ბაზები, ალპინისტური და სათხილამურო ბანაკები, დამუშავებული სვლაგეზების სისტემა.

აქტიური დასვენების საქმეში ფართო გავრცელება ჰპოვა რეკრეაციული საქმიანობის სახემ-ტურიზმა. არსებობს ტურიზმის მიმართ სხვადასხვა მიდგომა და განსაზღვრა. ტურიზმი განიხილება, როგორც თავისუფალ დროს მოგზაურობა, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული მიზანი. განმარტებულია ტურიზმი, როგორც მეურნეობის დარგი, რომელიც მომსახურებას უწევს ადამიანებს, რომლებიც დროებით იმყოფებიან მუდმივი საცხოვრებლის გარეთ. სისტემური მიდგომის მიხედვით ტურიზმი განისაზღვრება, როგორც სისტემა, რომელიც შედგება გეოგრაფიული ელემენტებისაგან, ტურისტებისა და ტურიზმის ინდუსტრიისაგან.

გეოგრაფიული ელემენტი იყოფა რეგიონებად, ტრანზიტულ რეგიონად, ტურისტული დასტინაციის რეგიონად. დასტინაცია წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც თავაზობს მომსახურების განსაზღვრულ რაოდენობას, რაც შეესაბამება ტურისტის მოთხოვნებსა და აკმაყოფილებს მის მოთხოვნას, გადაზიდვების, ღამისთევის, კვების, გართობის საქმეში. დასტინაცია მიღებულია აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნებში, ხოლო ყოფილ სსრკ-ში შესაბამისობაშია კურორტი. მოგზაურობის მთავარი მიზნის მიხედვით ტურიზმი იყოფა სამკურნალო, საკურორტო, გამაჯანსაღებელ-სპორტულ, შემეცნებით, კონგრესულ, რელიგიურ, გასართობ, საგანმანათლებლო, სათავგადასავლო, კოსმოსურ სახეებად, უკანასკნელ ხანს, როგორც საზღვარგარეთ მათ შორის საქართველოში განიხილება ეკოლოგიური ანუ "მწვანე ტურიზმი", "ღვინის ტურიზმი", "ბუნების ტურიზმი", "ბიოტურიზმი", "აგროეკოტურიზმი" და ა.შ.

დასკვნა

რეკრეაციის ამოცანების, მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რეკრეაციული საქმიანობის განვითარებისათვის სახელმწიფო ითვალისწინებს პრობლემების სირთულეს და ისე აფინანსებს მათ. ასევე, პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება რეკრეაციული ტურიზმის განვითარება. განსაკუთრებული როლი ენიჭება ყველა სამეწარმეო და რეკრეაციულ ტურისტულ ფორმებს, რომლებიც არ იშურებენ ძალისხმევას, ენერგიას და ფინანსებს იმისათვის, რომ რეკრეაციული საქმიანობის ეფექტიანად განვითარება ჩადგეს ქვეყნისა და მოსახლეობის სამსახურში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამკურნალო-პროფილაქტიკური კურორტები: www.mkurnali.ge; www.welcome.ge
2. საქართველოს კანონები: „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“.
3. „რეგიონული ეკონომიკა“ ე. ხარაიშვილის რედაქციით, თსუ, 2003.

4. ნ. ღვედაშვილი. სასტუმრო და ტურისტული მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, თსუ, 2004.
5. ი. გაბუნია. საქართველოს რეკრეაციული მეურნეობა, თბილისი. 1996.
6. ვ. შუბლაძე. საქართველო და ტურიზმი. თბილისი. 2004.
7. ნერგაძე დ. საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის მარკეტინგული კვლევის საკითხი. ჟურნ. "ეკონომიკა" (3-4) თბ., თსუ, 2003
8. გ. ამყოლაძე, სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკა და მეწარმის უნარ-ჩვევები, თბ., 2007.
9. მეტრეველი მ., ტურიზმი, თბ., 2003.
10. გ. ამყოლაძე, მ. ფირცხალავა, მ. ლომსაძე-კუჭავა, გ. კიკნაველიძე, „ჯანდაცვის, გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური და რეკრეაციული ობიექტების მენეჯმენტის, მარკეტინგული მიმზიდველობისა და ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება“. თბ. 2011.
11. შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ., ქიტაშვილი ა., ცერცვაძე გ., ჯულაყიძე გ. ტურიზმის მარკეტინგი, თბ. 2007.

რეზიუმე

ანა ზედგინიძე, მაია გონაშვილი

რეკრეაციული საქმიანობის თავისებურებები საქართველოში

ნაშრომში განხილულია ტერტორიებისა და სისტემების ობიექტები, რომლებიც განსაზღვრული პირობების მიხედვით შეიძლება მონაწილეობდნენ რეკრეაციული საქმიანობის პროცესში, ჩართული არიან, როგორც წესი კულტურისა და ბუნების საგანძურში. ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობისას საქართველოში მოქმედებდა 27.04.1981 წელს მიღებული დებულება "სახელმწიფო ნაკრძალების ბუნების საგანძურის, ბოტანიკური ბაღებისა და დენდროლოგიური პარკების, ზოოლოგიური თაღების, ნაკრძალებისა და ბუნებრივი ეროვნული პარკების შესახებ"; გამოცხადებულია უნიკალური ან ტიპიური, ფასეული, როგორც მეცნიერულ, კულტურულ-შემეცნებით ან გამაჯანსაღებელი თვალსაზრისით, ბუნებრივი ობიექტები, რომლებსაც მიეკუთვნება მდინარის, ტბის, სანაპიროს და ღირშესანიშნავი მთების ლამაზი ნაწილები და ცალკეული ობიექტები იშვიათი გეოლოგიური მოშიშვლება, სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ეტალო-ნური ნაწილები, ჩანქერები, გამოქვაბულები, ცალკეული იშვიათი ან ისტორიულად ღირებული ხეები, მინერალური წყაროები, ლამაზი კლდეები, მეტეორიტული კრატერები, ვულკანური ღრმულები, იშვიათი და შორეულ ისტორიული ნაკვალევი (სათაფლია), მრავალსართულიანი გამოქვაბულები (ცუცხვათი) და სხვა, ასევე ხელოვნური წარმოშობის ბუნებრივი ობიექტები: უძველესი ტყეები და პარკები, მიტოვებული არხების ნაწილები, კარიერები, წყალსატევები და სხვა. ბუნებრივ საგანძურს შეიძლება მივაკუთვნოთ ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიები. კულტურულ ძეგლებს შეიძლება მივაკუთვნოთ არქიტექტურულ-სამშენებლო, არქეოლოგიური, საკულტო და სხვა ანალოგიური ობიექტები, რომელთა განსაკუთრებული მნიშვნელობა განმტკიცებულია იურიდიულად.

საკვანძო სიტყვები: რეკრეაციული საქმიანობა, ინტელექტუალური პოტენციალი, რესურსები, რეკრეაცია, ტურიზმი, კურორტი, პარკი.

სპორტული მედიცინა

ინკლუზიური ფიზიკური აღზრდის რეალიები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში

ვ. ბაკაშვილი - პედაგოგიკის დოქტორი

საქართველო, თბილისი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შესავალი

ადამიანის სიცოცხლეს, როგორც ყოველი ცოცხალი არსების ცხოველქმედებასა და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს, წარმართავს ფიზიკური აქტივობა (მოძრაობა). მოძრაობის შეზღუდვა, ანუ უმოქმედობა ეწინააღმდეგება სიცოცხლის დინამიური დაცვის პრინციპებს, უფრო კონკრეტულად, ბუნების მიერ დაწესებულ ბიოლოგიურ (ევოლუციურ) პროცესებს. ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა და მისი ხარისხი მთლიანად არის დამოკიდებული მისი მოძრაობის ხარისხზე. ამიტომაც, ადაპტურ ფიზიკურ აღზრდას (კინეზოკორექციას), მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების კომპესატორული შესაძლებლობების განვითარებაში, კერძოდ, გარკვეული ცოდნის შეძენაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სპეციალური უნარ-ჩვევების მიზანდასახულ გამომუშავებას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს შეასწავლის მაკორეგირებელ მოძრაობებს და გამომუშავებს განსაკუთრებული სახის მოტორულ ჩვევებს პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ დაწესებული მოთხოვნილებების შესაბამისად, რამეთუ, სპორტი და ფიზიკური განათლება, აუცილებელი პირობაა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის.

ძირითადი ტექსტი

სკოლას, როგორც საბაზო განათლების ძირითად ინსტიტუციას, მოეთხოვება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, შეჯიბრებებში და სხვა მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) მოსწავლეების აქტიური ჩართვა მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ეს მოთხოვნილება უფრო აქტუალური გახდა ეხლა, რამდენათაც საქართველოს სკოლებში ინერგება ინკლუზიური სწავლება.

ადაპტური ფიზიკური აღზრდა, ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენილობის მქონე პირებისათვის წარმოადგენს კომპლექსური რეაბილიტაციის განუყოფელ ნაწილს. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმათთვის, ვისაც გააჩნიათ საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვულ-კუნთოვანი აპარატის დაზიანების, პარეზების და დამბლების შედეგად გამოწვეული დეფექტები.

საზოგადოებრივი ფორმაციული ცვლილებები უდიდეს ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ყოფის ყველა მხარეზე, მაგრამ ვერავითარმა ცვლილებებმა ვერ უნდა შეცვალოს სასკოლო ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა მოზარდთა ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისა და აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით შშმ ბავშვთა სასკოლო ფიზიკური აღზრდის პროცესში, ვინაიდან ფიზიკური აქტივობა და ადაპტური ფიზიკური აღზრდის საკითხი მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი პროგრესი თავისთავად მოითხოვს არსებულის გადახედვას, კორექტირებას ან შეცვლას, მაგრამ ნებისმიერი ცვლილებები უნდა ეფუძნებოდეს ღრმა ანალიზს, მოსალოდნელი რისკების განჭვრეტას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. 2004 წლიდან საქართველოს განათლების სისტემაში დაწყებულმა რეფორმებმა უდაოდ ბევრი პოზიტიური ძვრები შემოიტანა, თუმცა რიგ შემთხვევებში გარკვეული საკითხების უცხოეთიდან ბრმა კოპირებამ და დარგის

გამოცდილ, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტ-ექსპერტებთან სათანადო კომუნიკაციის არ ქონამ თავისი უარყოფითი დადი დაასვა აღნიშნული მიმართულების კონკრეტულ საკითხებსა თუ პრობლემებს.

ასეთ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლების გაუქმება და მათი მოსწავლეთა კონტიგენტის ინტეგრაცია ჩვეულებრივი საჯარო სკოლების მოსწავლეებთან. თვით ამ ინტეგრაციის იდეა რა თქმა უნდა დადებითი და ძალზედ მნიშვნელოვანია. მაგრამ ასეთი სათუთი და მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელებას ძალზედ სერიოზული, მასშტაბური და დროში კარგად გააზრებული განწყობა ესაჭიროებოდა. ფაქტობრივად კი მთელი ეს მოსამზადებელი სამუშაოები თავის დროზე ფორსირებულად წარიმართა, რის შედეგადაც ზემოთ აღნიშნული ინტეგრაციის პროცესს ფაქტობრივად მოუშადადებელი შეხვდნენ შშმ მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც, საჯარო სკოლის მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც, პედაგოგიური კოლექტივებიც, სასკოლო ინფრასტრუქტურაც და ფიზიკური აღზრდის პროგრამული ნაწილიც.

ნებისმიერ ქმედებას უკუქმედება გააჩნია. თუ შშმ მოსწავლეთა ჯანმრთელ ბავშვებთან ინტეგრაციას ერთის მხრივ დიდი პოზიტივი გააჩნია „გაუცხოების“ და „კარჩაკეტილობის“ გარღვევის თვალსაზრისით და თანატოლებთან უკომპლექსო ურთიერთობების კუთხით, სამაგიეროდ, მეორეს მხრივ, მისი მნიშვნელობის უგულვებელყოფა ხელს უშლის ორი სოციუმის ცივილური თანაარსებობის განვითარებას, რაც ზოგადად საზოგადოების განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

რაც შეეხება შშმ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას სკოლებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასკოლო რეფორმამ მოახდინა ამ კატეგორიის და ჯანმრთელი მოსწავლეების ინტეგრირება, ასე რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე, ისევე, როგორც სხვა საგნების გაკვეთილებზე, აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებს ერთობლივად უხდებოდათ მეცადინეობა. ეს კი რეალობაში საკმაოდ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ პრობლემებს ქმნის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის პედაგოგებისათვის, იმდენად რამდენადაც შშმ მოსწავლეები ითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ინდივიდუალურ მიდგომას დაავადებათა ფიზიკური ნაკლის თავისებურებებიდან გამომდინარე მიღებული შედეგის შესაბამისად, ვინაიდან ყოველი ნოზოლოგიისათვის მიზნობრივი, მათთვის დამახასიათებელი, კერძო ადაპტური ფიზიკური აღზრდის მეთოდოლოგია საჭირო, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს კინეზოკორექციისა და კინეზოთერაპიის გამოყენების თავისებურებანი. ამისათვის კი აუცილებელია პედაგოგების საბაზო პროფესიულის გარდა სპეციალური ცოდნით შეიარაღება სპეციალური უნარ-ჩვევების შესაძენად. თუ გავითვალისწინებთ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ 2010 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ შემუშავებული პროექტის 2009-2010 წლების მონაცემებს, 4176 ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებიდან შესაბამისი საბაზისო განათლება მხოლოდ 1637 (39.2%) ქონდა. აღნიშნული ვითარება დღეს უფრო გართულებულია. 2007 წლის 11 ივლისის სამთავრობო გადაწყვეტილებით მოხდა ქვეყნის ერთადერთი სასპორტო უმაღლესი სასწავლებლის ფაქტობრივი გაუქმება რეორგანიზაციის ეგიდით, რის შედეგადაც შეწყდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება და გამოშვება. ამ დანაშაულებრივმა ქმედებამ იმ შედეგამდე მიგვიყვანა, რომ ეს დეფეციტი კიდევ გაგრძელდება სანამ დღევანდელი ხელისუფლების მიერ ახლად დაფუძნებული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არ დაიწყებს სათანადო კადრების გამოშვებას.

არასახარბიელო მდგომარეობაა მასწავლებელთა კვალიფიკაციის კუთხითაც. კვალიფიკაციის დონის ამაღლება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, განსაკუთრებით სპეციალური საბაზო განათლების არ მქონე პედაგოგებისათვის. დღეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის

გადამზადების აქტუალურ პრობლემად ითვლება მისი პროფესიული განვითარების მუდმივი პროცესი. 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოში ამოქმედდა „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა“, რომლის მიხედვითაც რეგულირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება.

2016 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 747 პედაგოგმა, მათგან სპეციალური საბაზო განათლება ქონდა 67%. მიღებული მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა მხოლოდ 22% მოახერხა მინიმალური ზღვარის გადალახვა და გამოცდების ჩაბარება. და ასეთ ვითარებაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებს ავალდებულებენ ადაპტოლოგიის, რეაბილიტოლოგიის, კინეზოკორექტოლოგიის ფუნქციების შესრულებას სპეციალური ტრენინგებისა და სათანადო საკვალიფიკაციო ტრენინგების გარეშე, რაც რასაკვირველია სათანადო შედეგებს ვერ მოიტანს. აღნიშნული მონაცემების ფონზე განსაკუთრებით ნათელი ხდება მოქმედი პედაგოგების გადამზადების აუცილებლობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ გვსურს მოგახსენოთ ჩვენი აზრი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა განვითარდეს ადაპტური ფიზიკური კულტურა განათლების სისტემის დაწესებულებებში და უფრო წარმატებული გახადოს ინკლუზიური განათლება საქართველოში.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და ადაპტური სპორტის დანერგვა. საქართველოშიც ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება ადაპტური სპორტი, მაგრამ არ მოგვარდა ყველაზე მთავარის, სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადების საკითხი.

ადაპტური ფიზიკური კულტურა - განკუთვნილია ფიზიკურ განვითარებაში გადახრების მქონე ადამიანებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და მოიცავს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ხასიათის ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული კატეგორიის ადამიანების რეაბილიტაციას და სოციალურ ინტეგრაციას, ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვას, რომელიც ეწინააღმდეგება სრულფასოვანი ცხოვრების შეგრძნების აღქმას. ადაპტური ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე წარმართველი მიმართულებაა ადაპტური ფიზიკური აღზრდა და ადაპტური სპორტი, რომლის მაგისტრალური მიზანია მოძრაობითი აქტივობის, როგორც ადამიანის ორგანიზმზე და მის პიროვნულ თვისებებზე ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორის ფორმირება.

სამეცნიერო კვლევების გაცნობისას ნათლად ჩანს, გარდა ფიზიკური კულტურის და სპორტის მკვლევარებისა რა დიდ ინტერესს იჩენენ ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და ადაპტური სპორტის მიმართ მეცნიერების ისეთი დარგების როგორცაა რეაბილიტოლოგიის, ვალეოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, დეფექტოლოგიის, ბიომექანიკის, მედიცინის და ა.შ. მკვლევარები.

ადაპტური სპორტი არის ადაპტური ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და საკუთარი შესაძლებლობების შერწყმას სხვა ადამიანების შესაძლებლობებთან. ადაპტური სპორტის ძირითადი ამოცანაა შშმ ადამიანების სპორტული კულტურის ფორმირება, მოცემულ სფეროში საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილებასთან შეგუება, ფიზიკური კულტურის, როგორც მისი და მასთან ერთად სხვა ანალოგიური პრობლემების მქონე ადამიანებისათვის ჯანმრთელობის განმტკიცების და სარეაბილიტაციო-საკორექციო საშუალების ტექნოლოგიური, ინტელექტუალური და ა.შ. ფასეულობების შესწავლა. ადაპტური სპორტის არსი შშმ პირების დარღვეული ფუნქციონალური სისტემების და ორგანოების განვითარებასა, კორექციასა და რეაბილიტაციაშია, შემდეგ კი მაღალი სპორტული ოსტატობის და ანალოგიური პრობლემების მქონე ადამიანებთან ასპარეზობაში უმაღლესი სპორტული შედეგების მიღწევაში.

ადაპტურ სპორტს გააჩნია ორი მიმართულება: სარეაბილიტაციო-რეკრიაციული სპორტი და უმაღლესი მიღწევების სპორტი. პირველი ვითარდება სკოლაში, სპორტის, როგორც კლასგარეშე მუშაობა არჩეული სპორტის სახეობების სექციებში სასწავლო, საწვრთნო და საშეჯიბრო ფორმებით. უმაღლესი მიღწევების სპორტი კი ვითარდება სპორტულ-გამაჯანსაღებელ კლუბებში, ინვალიდობის მქონე პირთა საზოგადოებრივ გაერთიანებებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ სკოლებში. პრაქტიკა გვასწავლის, რომ, თუ ჯანმრთელი ადამიანებისათვის მოძრაობითი აქტივობა ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოთხოვნილებაა, ინვალიდობის მქონე პირებისათვის ფიზიკური ვარჯიშები სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მოძრაობითი აქტივობა და უმეტესად ფიზიკური ვარჯიშობანი წარმოადგენენ სოციალური რეაბილიტაციის ძალიან ეფექტურ საშუალებას და მეთოდს ერთდროულად ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების და სოციალური ადაპტაციისათვის.

ფიზიკური ვარჯიში ადამიანის ორგანიზმზე კეთილსასურველი ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა და დროთა განმავლობაში აფართოებს შესაძლებლობათა დიაპაზონს - პირველ რიგში აფართოებს მოძრაობითი სფეროს მდგრადი დეფექტების კორექციის და განვითარების შესაძლებლობებს. შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითები პრაქტიკიდან, როდესაც ფიზიკური ვარჯიშების და სპეციალური წვრთნის ზეგავლენით ინტელექტუალური დარღვევებს მქონე ბავშვებს უსწორდებათ დარღვეული მეტყველება, ითვისებენ რთულ ტანვარჯიშულ მოძრაობით მოქმედებებს, უსინათლოები გაბედულად და დაჯერებულად ორიენტირებენ სივრცეში. ბავშვთა ცერებრული დამზღის მიმე ფორმის მქონე ბავშვები

ტანვარჯიშული და ცურვის გაკვეთილების შემდეგ იწყებენ სიარულს და ლაპარაკს. საინვალიდო ეტყლით მოსარგებლე ადამიანები აღწევენ უდიდეს სპორტულ შედეგებს საერთაშორისო ასპარეზზე და ეს ყველაფერი დაუღალავი და პროფესიონალურად გათვლილი პროგრამული ადაპტური ფიზიკური აღზრდის და სპორტული წვრთნის შედეგად მოდის.

ადაპტური სპორტი ახდენს ღრმა და მრავალმხრივ ზეგავლენას ადამიანის არსებით მხარეებზე, აწვითარებს მას როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. ეს ადამიანის პიროვნული ფორმირების ხანგრძლივი პროცესია, რომელიც პიროვნებაში თავს უყრის და აკუმულირებს ადამიანის ზნეობრივ ფასეულობებს, ნორმებს, ტრადიციებს, იდეალებს, სპორტული ქცევის ნორმებს და კანონებს. ეს ყველაფერი სპორტში სოციალური ცხოვრებისაგან დაგროვილი ინდივიდუალური გამოცდილებაა. თვით ტერმინის სპორტში „ჩართულობის“ არსი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალიზაციასთან, იმდენად რამდენადაც ურთიერთობის პროცესში მიმდინარეობს იმ საზოგადოების მიერ გაცემული ღირებულებულებებისა და გამოცდილების ათვისება და მათ ცხოვრებაში რეალიზაცია, რომელ საზოგადოებასთანაც მოუწია თავისი სპორტული ცხოვრების დაკავშირება. განსაკუთრებულად ნათელი სოციალიზაცია მქლავნდება სპორტული შეჯიბრებების პროცესში, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მათი სოციალური აქტივობის ფორმა, რომლის პროცესშიც იქმნება ისეთი სოციალური ფასეულობები, როგორიცაა გამარჯვება, პრესტიჟი, თანაგანცდილობა, საერთო საქმისათვის თავდადება, თანაგულდელის და მოწინააღმდეგის (ანუ ზოგადად ადამიანის) პატივისცემა და თანადგომა, საერთო გამარჯვების სიხარული და ასევე საერთო დამარცხებისაგან გამოწვეული სინანული და ა.შ.

დასკვნა

სპორტი შშმ პირებისათვის ურთიერთობის და განცდების განსაკუთრებული სამყაროა, რომელიც იტაცებს მათ ცნობიერებას და ყურადღების კონცენტრაციას ამახვილებს ახალ ობიექტებზე, სხვა, უფრო წარმტაც ფერებში ქსოვს მათ ფსიქიკას, ახდენს განწყობილების განმუხტვას და ქმნის ემოციების განსაკუთრებულ ატმოსფეროს. ეს აქტიური შემოქმედებითი პროცესია, სადაც შშმ პირებს ექმნებათ საკუთარი ფიზიკური, ფსიქიკური განვითარების და ესთეტიკური შეხედულებების სრულყოფის საშუალება. ცდილობენ შექმნან საკუთარი, განუმეორებელი სახე, სადაც

დებენ სიმხნევის ჰარმონიას და სულის სიძლიერეს. ეს კი მათ ცხოვრების წესს აძლევს ახალ კოლორიტს, ახალ ფერებს და აიძულებს გააკეთონ საკუთარი პიროვნების, საკუთარი „მე“-ს თვითშეფასება. საშუალებას აძლევს თავი იგრძნოს სრულფასოვან ადამიანად და საკუთარი საზოგადოების სასარგებლო წევრად.

რეზიუმე

ვასილი ბაკაშვილი

ინკლუზიური ფიზიკური აღზრდის რეალიები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური განათლებისა და სპორტის საგნის სწავლების მდგომარეობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (შშმ), საურველი იქნებოდა უკეთესი ყოფილიყო, რადგან სკოლებს არ ყოფნით ან საერთოდ არ გააჩნიათ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გამომდინარე შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკიდან აუცილებელია მოქმედი პედაგოგების მიერ მოთხოვნების შესაბამისი საკვალიფიკაციო კურსების გავლა.

ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება იქნება თუ ორგანიზებული იქნება ტრენინგები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობლებისთვის, აგრეთვე, სხვა ამ სფეროთი დაინტერესებულ იმ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ჩაატარებენ შშმ პირთათვის ფიზიკურ ვარჯიშებს ოჯახებში (ოჯახურ პირობებში).

საკვანძო სიტყვები: შშმ პირი, ადაპტური ფიზიკური აღზრდა (კინეზოკორექცია), ინკლუზიური სწავლება, კინეზოთერაპია.

Резюме

Васили Бакашвили

Реалий инклюзивного физического воспитания ареале в средних школах Грузии

Положение обучения предмета физического воспитания и спорта в средних школах Грузии для учащихся с ограниченными физическими возможностями, оставляет желать лучшего, из за нехватки, а порой и отсутствия соответствующей материально-технической базы, а главное преподавательского состава соответствующей квалификации. Исходя из специфики работы с учащимися с ограниченными физическими возможностями, действующим педагогам предмета физического воспитания и спорта, необходимо обеспечить прохождение курсов квалификации исходя из действующих требований.

Также необходимо обеспечить родителей учащихся с ограниченными физическими способностями необходимой методической литературой для занятий физическими упражнениями с ними в домашних условиях.

Очень важной помощью явилось бы организация тренингов для родителей детей с ограниченными физическими возможностями, а также других заинтересованных этой областью лиц и организаций по проведению занятий физическими упражнениями в семье (в домашних условиях).

Ключевые слова: Люди с ограниченными возможностями, адаптивная физическая культура, инклюзивное образование, кинезитерапия.

Summary

Vasili Bakashvili

The realities of inclusive physical education In secondary schools of Georgia

The position of the teaching subject of physical education and sports in secondary schools of Georgia, for children with disabilities leaves much to be desired. Due to the shortage, and sometimes the lack of material – technical base and most importantly the teaching staff of the corresponding qualifications. Based on the specifics of work with physical disabilities pupils, applicable to the teachers of physical education and sports, it is necessary to ensure completion of qualification referring to existing requirements. It is also necessary to provide parents of students with disabilities the necessary methodical literature for physical exercises with them, at home. Very important help would be to organize training courses for parents with disabilities, and other interested in this area, individuals and organizations to carry out physical exercises in the family (at home).

Keywords: People with disabilities, adaptive physical culture, inclusive education, kinesitherapy.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

Компьютерная методика для улучшения зрительной реакции футболистов

И. А. Хипашвили¹, А. Э. Егоян^{1,2}, М. Б. Мирцхулава^{1,2}

¹Государственный университет физического воспитания и спорта Грузии, Тбилиси, пр. Чавчавадзе № 49, 0162

²Университет Геомеди, Тбилиси, ул. Царя Соломона II №4, 0114

Введение

Быстрота реакции в спорте имеет огромное значение. Часто исход спортивной борьбы зависит от того, насколько своевременно и рационально реагирует спортсмен на изменения в соревновательной ситуации или насколько своевременно он выполняет стартовое действие. Быстрота реакций поддается улучшению с помощью специальных упражнений [4, 7, 10-16].

Причем время реакции зависит от типа реакции: простые реакции характеризуются одним сигналом и одним, заранее известным, ответным действием [16]. Сложные реакции определяются двумя и более сигналами, одним или несколькими ответными действиями [14]. Сложные реакции типичны для всех видов спорта, где есть противостояние соперников (бокс, фехтование, виды борьбы, спортивные игры).

Представители этих видов спорта, как правило, владеют значительным арсеналом приемов нападения, защиты, обманных действий, но все не знают заранее, как себя вести в данный момент, какой применить прием, поэтому их реакции носят характер выбора. Такие реакции тоже отличаются быстротой, но у них более длительный, по сравнению с простыми реакциями, латентный период, возникающий в результате большого количества информации, поступающей в головной мозг и требующей переработки.

В последнее время для измерения реакции активно используются компьютеры, которые стали незаменимым компонентом спорта. Помимо множества других возможных применений компьютер позволяет получить объективную информацию о психофизиологическом состоянии спортсмена при помощи специальных тестов. Такие тесты с успехом используются для измерения простой и сложной реакций спортсменов [1-7, 9, 10].

Кроме того следует отметить возросший интерес среди спортсменов к компьютерным играм: многие спортсмены изучают тонкости своего вида спорта по компьютерным играм. Ученые доказали, что игра на компьютере в видео игры в течение 10-15 минут ежедневно положительно сказывается на подготовке спортсменов [8, 12].

В литературе широко представлены результаты научных исследований по изучению зависимости реакции спортсменов от возраста, пола, спортивной подготовки и психологического состояния [4, 7, 10-15]. В то же время недостаточно изучено, как меняется реакция в зависимости от направления поступления сигнала в пространстве и влияет ли на процесс тестирования дизайн компьютерной программы.

Цель данного исследования состоит в создании и внедрении комплексного метода компьютерного тестирования для определения простой и сложной зрительной реакции спортсмена и изучения того, как реакция зависит от таких факторов, как направление сигнала, скорость и периодичность поступления сигнала. Кроме того, исследуется возможность применения компьютерных тестов для улучшения и корректировки реакции спортсменов и выясняется роль программного интерфейса в этом процессе. Методика предназначена для отбора и оптимизации процесса тренировки спортсменов и является обобщением многолетнего труда грузинских ученых [1-3, 5, 6, 9].

Метод исследования

Программа компьютерного тестирования представляет собой компьютерный интерфейс, который позволяет определять время реакции тестируемого на изменение позиции виртуального вратаря в створе ворот на компьютерном экране.

Вратарь может занимать позицию в одном из четырех углов виртуальных ворот. Углы пронумерованы в следующем порядке: 1 - у1 - левый нижний угол, 2 - у2 - левый верхний угол, 3 - у3 - правый нижний угол, 4 - у4 - правый верхний угол. На рис. 1, 2 изображены положения вратаря в левом нижнем и правом верхнем углах соответственно. В остальных углах позиции вратаря горизонтально симметричны этим двум позициям. Видно, что изображение выполнено в фотографическом режиме с целью создать атмосферу, максимально приближенную к реальной. Также и позиции вратаря в створе ворот подбирались сходные к тем, что свойственны реальной игре в футбол. Программа позволяет легко менять цвет формы вратаря и фон теста, чтобы имитировать, например, различные погодные условия. Программа также позволяет менять частоту смены позиций вратаря - указывается минимальная возможная частота в мсек и максимальная возможная частота в мсек. Таким образом, можно ускорять и замедлять частоту смены кадров, менять кадры периодически и, напротив, аperiodично. Можно увеличивать и уменьшать количество минитестов соответствующих каждой смене позиции вратаря - максимальное количество минитестов равно 100.

Результатом тестирования считался средний общий интервал времени реакции по всем углам T_{cp} . Кроме этого интервал времени реакции рассчитывался по всем отдельным направлениям в отдельности T_1, T_2, T_3, T_4 . А также рассчитывался коэффициент симметричности времени реакции S

$$S = \frac{|T_4 - T_1|}{T_{cp}} \cdot 100\%$$




Рис. 1. Интерфейс программы тестирования. Вратарь находится в левом нижнем углу.




Рис. 2. Интерфейс программы тестирования. Вратарь находится в правом верхнем углу.

Во время тестирования в зависимости от поставленной задачи можно использовать 5 базисных тестов:

1. Тест на простую зрительную реакцию, когда тестируемый должен нажатием на одну определенную клавишу клавиатуры компьютера как можно быстрее отреагировать на изменение положения вратаря в створе ворот.
2. Простой тест на зрительную реакцию выбора, когда тестируемый должен нажатием на соответствующую клавишу клавиатуры компьютера как можно быстрее отреагировать на изменение положения вратаря в створе ворот и «забить гол» в один из свободных углов ворот.
3. Сложный тест на зрительную реакцию выбора, когда тестируемый должен нажатием на соответствующую клавишу клавиатуры компьютера как можно быстрее отреагировать на изменение положения вратаря в створе ворот и «забить гол» в диагонально противоположный угол ворот.
4. Простой тест на распределение внимания, когда тестируемый должен нажатием на соответствующую клавишу клавиатуры компьютера как можно быстрее отреагировать на изменение положения прямоугольной рамки и «забить гол» в угол ворот отмеченный рамкой.
5. Сложный тест на распределение внимания, когда тестируемый должен нажатием на соответствующую клавишу клавиатуры компьютера как можно быстрее отреагировать на изменение положения прямоугольной рамки и «забить гол» в угол противоположный углу, отмеченному рамкой.

Проведения компьютерного тестирования можно подразделить на следующие этапы:

I этап - подготовительный этап: на этом этапе отбираются подростки для тестирования. На этом этапе происходит формирование групп тестируемых, планирование тестов для тестирования на основе базовых тестов, а также создание базы данных и ввод в нее данных о тестируемых по группам. Данные о подростках: имя, фамилия, тип группы, возраст, рост, вес, адрес и контактная информация вводились в базу данных при помощи специальной компьютерной программы. Каждому подростку присваивается уникальный идентификационный код, по которому можно было в дальнейшем однозначно распознавать данные тестирования.

II этап - проводится тестирование подростков компьютерной программой. Программой рассчитываются значения временного интервала тестирования (времени реакции), коэффициента симметричности реакции и ряда других параметров. Перед тестированием проводится инструктаж тестируемых и пробное тестирование. Тестируемые знакомятся с программой тестирования и проводят различные тесты пока не начинают чувствовать себя свободно у компьютера. Кроме того, имеет значение психологическое состояние подростков: усталость после тренировки, возбужденность после игры или просто недостаток времени могут плохо сказаться на результатах тестирования. Также влияют и такие факторы, как время суток - например, вечером можно ждать более низких результатов, чем утром или днем.

III этап - на этом этапе происходит ввод данных тестирования в базу данных в одном из форматов данных, пригодных для последующего анализа в статистической программе SPSS.

В результате анализа подросткам с проблемами реакции рекомендуется пройти тренировку по тренинг-программам со специально подобранными для них параметрами. Кроме того, информация об особенностях реакции подростков и их нервной системе оперативно передается их тренерам, чтобы они приняли соответствующие меры: поменяли им игровое амплуа, уменьшили нагрузки или поменяли тренировочные упражнения. И, наоборот, подросткам с хорошими результатами рекомендуется встретиться с тренером, и, в случае обоюдного согласия, серьезно заняться спортом.

На основании анализа данных тестирования в случае надобности разрабатывается компьютерный тренинг для подростков. При нарушениях во времени реакции или симметричности реакции индивидуально для каждого футболиста разрабатывается тренинг-программа, в которой фиксируются проблемы футболиста в связи с нарушениями интервала времени реакции (происходило изменение частоты подачи мяча) и, исходя из данных коэффициента симметричности, изменяются показатели тренировочных тестов индивидуально для каждого из подростков (происходит изменение частоты подачи мяча в разных направлениях). Если во время программного тестирования имело место переутомление (что фиксируется показателями пульса), это было предусмотрено тренинг-программой - соответственно необходимо уменьшить время интервалов и продолжительность теста.

В процессе компьютерного тренинга используется та же программа, что и для тестирования, но с таким набором параметров (количество минитестов, частота смены минитестов и т. д.), чтобы наиболее эффективно скорректировать недостатки в результатах первичного тестирования.

По назначенной тренинг-программе подростки проходили компьютерный тренинг в течении одного месяца три раза в неделю по 10-15 минут.

Показатели частоты сердцебиения фиксировались электронным измерителем "Medactive". Для каждого брали средний показатель из 5 данных. Данные вносились в специальный журнал, а затем переносились в компьютерную базу данных для дальнейшего анализа совместно с результатами тестирования.

IV этап - на основании анализа полученных результатов были выявлены критерии отбора и ориентации (игрового амплуа) индивидуально для каждого подростка и даны рекомендации для тренеров для коррекции учебно-тренировочного процесса.

Обсуждение результатов исследования

Для проведения тестирования были случайным образом отобраны 10 юношей обучающихся в колледже при Университете спорта Грузии и в самом Университете спорта. Все юноши специализировались по футболу, но никогда не участвовали в компьютерном тестировании реакции и специально не занимались

улучшением собственной реакции. Предварительное тестирование показало, что у них большой разброс во временах простой и сложной зрительной реакций и, следовательно, достаточно высокие времена обеих реакций: 260 мсек – среднее время простой зрительной реакции (использовался тест №1) и 460 мсек – среднее время реакции выбора (использовался тест №3). Число кадров n равнялось 40, частота смены кадров f менялась в диапазоне от 500 мсек до 1500 мсек.

Низкие результаты времени реакции объясняются неумением юношей концентрироваться, недостаточной гибкостью зрительного фокуса и недостаточной координацией внимания.

Всем юношам было рекомендовано пройти месячные компьютерные тренировки по следующей программе:

1. Тренинги проводятся три раза в неделю по 10-15 минут.
2. Выполняются следующие тесты:
 - 1) Тест №1 - всего 3 теста по 40 минитестов каждый с частотой смены минитестов 500 мсек общей длительностью 1 минуты.
 - 2) Тест №3 - всего 3 теста по 40 минитестов каждый с частотой смены минитестов 500 мсек общей длительностью 1 минуты.
 - 3) Тест №1 - всего 3 теста по 40 минитестов каждый с частотой смены минитестов 500-1500 мсек общей длительностью 2 минуты.
 - 4) Тест №3 - всего 3 теста по 40 минитестов каждый с частотой смены минитестов 500-1500 мсек общей длительностью 2 минуты.
 - 5) Тест №1 - всего 4 теста по 20 минитестов каждый с частотой смены минитестов 1000-2000 мсек общей длительностью 2 минуты.
 - 6) Тест №3 - всего 4 теста по 20 минитестов каждый с частотой смены минитестов 1000-2000 мсек общей длительностью 2 минуты.
3. Количество ошибок при выполнении теста не должно превышать 10% от количества минитестов n в тесте. При $n=40$ допустимое количество ошибок равно 4.
4. Тестируемому предоставляется три попытки при сдаче контрольного теста. Засчитывается попытка с наилучшим временем тестирования.

Параметры тестов представлены в таблице 1. Видно, что общая продолжительность тестов составляет всего 10 минут. При этом рекомендуется делать небольшие перерывы между отдельными тестами порядка 10-20 секунд, а также можно добавить тесты по собственному усмотрению: так что общая продолжительность тестов возрастает до 10-15 минут.

Таблица 1. Параметры тестов для прохождения компьютерного тренинга.

№	Тип теста	Кол-во минитестов	Мин. частота (млсек)	Макс. частота (млсек)	Кол-во тестов	Время (мин)
1	Тест №1	40	500	500	3	1
2	Тест №3	40	500	500	3	1

3	Тест №1	40	500	1500	3	2
4	Тест №3	40	500	1500	3	2
5	Тест №1	20	1000	2000	4	2
6	Тест №3	20	1000	2000	4	2
	Всего:				20	10

В результате прохождения компьютерного тренинга по этой программе средние показатели группы существенно улучшились: среднее время простой зрительной реакции по четырем направлениям сократилось до 220 мсек, а среднее время реакции выбора - до 410 мсек. Коэффициент симметричности времени реакции у всех студентов соответствовал норме, установленной в пределах 2-10%. При этом двое студентов не смогли преодолеть барьер 420 мсек, установленный для реакции выбора. Анализ данных этих студентов показал, что они выполняли тренинги нерегулярно - что и является причиной их неудачи. Было указано тренеру обратить внимание на их дисциплину.

В целом методика доказала свою эффективность, причем было обращено внимание на следующие закономерности:

1. Приближенный к действительности дизайн фона компьютерной программы способствует выработке более устойчивых навыков управления реакцией и ведет к достижению более высоких результатов.
2. Тренинги для развития реакции необходимо выполнять регулярно, иначе реакция начинает ухудшаться и приобретенные навыки начинают ослабевать.
3. Длительное выполнение тестов не ведет к улучшению реакции: достаточно выполнять компьютерные тесты 5-10 минут в день.
4. Время реакции в случае аperiodических тестов ($n=40$, $500 \text{ мсек} \leq f \leq 1500 \text{ мсек}$) на 10-15 мсек в среднем больше чем в случае периодических тестов ($n=40$, $f=500 \text{ мсек}$).
5. Увеличение интервала между минитестами периодических минитестов также ведет к ухудшению результата: например, при увеличении интервала с 500 мсек до 1000 мсек ($n=40$) наблюдается ухудшение реакции в среднем на 10-15 мсек.

Заключение

В работе описывается методика оценки и коррекции зрительной реакции спортсменов при помощи компьютерного тестирования. От существующих программ подобного типа наша программа отличается:

1. Реалистичным графическим интерфейсом, способствующим лучшему усвоению навыков, приобретенных во время тестирования.
2. Возможностью измерять время реакции в разных направлениях, что в большей степени соответствует ситуации на поле.
3. Возможностью выполнения минитестов в асинхронном автоматическом режиме, что способствует развитию способности спортсмена концентрироваться в течение достаточно длительного промежутка времени: весь тест длится приблизительно 20-40 секунд, что соизмеримо со средней длительностью игровой ситуации в футболе (от нескольких секунд до нескольких минут).

4. Объединение в одном интерфейсе тестов для измерения простой зрительной реакции, реакции выбора и реакции различения.
5. Способностью рассчитывать среднее и среднее квадратичное отклонения и коэффициент вариации времени реакции.

На примере группы из 10 студентов 17-19 лет, занимающихся футболом на любительском уровне, показано в среднем улучшение зрительной реакции выбора на 10-15% в результате одномесечных тренировок по три раза в неделю по 10-15 минут в день.

В целом методика служит для улучшения концентрации внимания спортсменов, их координации и повышения гибкости фокуса внимания. Все эти качества имеют огромное значение для достижения спортивного успеха. Учитывая все вышесказанное, можно констатировать, что подобная методика заслуживает особого внимания тренеров и спортсменов и не только в футболе, а также в таких видах спорта, как регби, баскетбол и ручной мяч.

Литერატურა:

1. ეგოიანი ა., ხიპაშვილი ი., თარხნიშვილი ნ., ტყემალაძე ი., მეშვილდიშვილი ც., კარსანიძე ნ. კომპიუტერული ტესტირების გამოყენება ტრავმატიზმის შემცირების მიზნით. // საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის „კურორტული და სხვა არამედიკამენტური ფაქტორების კომპლექსური გამოყენების აქტუალური საკითხები“ შრომათა კრებული, წყალტუბო, საქართველო, 2005, გვ. 33-35.
2. ეგოიანი ა., ხიპაშვილი ი. ფსიქოფიზიოლოგიური კომპიუტერული ტესტების გამოყენება სპორტსმენტა მომზადების პროცესში. // სამეცნიერო კონფერენციის მასალები, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 13-19.
3. კირკიტაძე დ., გუგუშვილი ჯ., ეგოიანი ა., ხიპაშვილი ი., ჩიტაშვილი დ., მირცხულავა მ. ფეხბურთელთა წვრთნისა და შერჩევის კომპიუტერული მეთოდი. // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია A, 2007 (33), 1: 47-51.
4. Ашанин В., Романенко В. Использование компьютерных технологий при оценке сенсомоторных реакций в единоборствах. // Слобожанский научно- спортивный вестник. – Харьков : хдаФк, 2015, №4(48), С. 15-18.
5. Егоян А., Мирцхулава М., Хипашвили И. Использование психофизиологических компьютерных тестов в процессе подготовки футболистов. // GESJ: Образовательные науки и психология. 2014, 3 (29), С. 31-59.
6. Мирцхулава М., Егоян А., Коринтели Э., Хипашвили И. Применение компьютерного тестирования для снижения травматизма среди юных футболистов. // Материалы международной научной конференции посвященной 75-летию Ереванского медицинского университета имени М. Гераци, Ереван, 2005, С. 249-250.
7. Akarsu S., Çalışkan E. and Dane S. Athletes have faster eye-hand visual reaction times and higher scores on visuospatial intelligence than non-athletes. Turkish Journal of Medical Sciences, 2009, 39(6): 871-874.

8. Dye M. W. G., Green C. S., Bavelier D. The development of attention skills in action video game players. *Neuropsychologia*. 2009, 47(8-9):1780-1789.
9. Egoyan A., Khipashvili I. The use of computer tests during the process of sportsmen preparation. // Abstracts of international conference "Sports and Innovation", University of physical education of Budapest, Groupama Arena, 18-19 May 2017, p. 68.
10. Gavkare A. M., Nanaware N. L., Surdi A. D. Auditory reaction time, visual reaction time and whole body reaction time in athletes. *Ind Med Gaz*, 2013, 6: 214-9.
11. Ghuntla T. P., Mehta H. B., Gokhale P. A., Shah C. J. A comparative study of visual reaction time in basketball players and healthy controls. *Natl J Integr Res Med*, 2012: 3: 4-9.
12. Green C. S., Bavelier D. Action video game modifies visual selective attention. *Nature*. 2003, 423: 534-537.
13. Harbin G., Durst L., & Harbin D. Evaluation of oculomotor response in relationship to sports performance. *Medicine and Science in Sports and Exercise*, 1989, 21, 258-272.
14. Heirani A., VaziniTaher A., Soori Z. and Rahmani M. Relationship between choice reaction time and expertise in team and individual sports: a gender differences approach. *Australian Journal of Basic and Applied Sciences*, 2012, 6(8): 344-348.
15. Montes-Mico R., Bueno I., Candel J., & Pons A. Eye-hand and eye-foot visual reaction times of young soccer players. *Journal of the American Optometric Association*, 2000, 71(12), 775-780.
16. Shelton J., Kumar G. P. Comparison between auditory and visual simple reaction times. *Neurosci Med*, 2010, 1: 30-2.

რეზიუმე

ილია ხიპაშვილი, ალექსანდრე ეგოიანი, მერაბ მირცხულავა ფეხბურთელთა მხედველობითი რეაქციის გაუმჯობესების კომპიუტერული მეთოდი

ფსიქოფიზიოლოგიური კომპიუტერული ტესტები საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია სპორტულ მეცნიერებაში, ვინაიდან ისინი არიან სწრაფი და არ ითხოვენ დიდ ხარჯებს. ნაშრომში წარმოდგენილია კომპიუტერული ტესტირების ახალი პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ სპორტსმენის რეაქციის საშუალო დროითი ინტერვალი სხვადასხვა მიმართულებით და განვსაზღვროთ მისი რეაქციის სიმეტრიულობის კოეფიციენტი, რის შედეგადაც ხდება სათანადო რეკომენდაციების გაცემა შემდგომი ვარჯიშებისთვის. ამ პროგრამის ძირითადი თვისება არის რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული დიზაინი, რაც ხელს უწყობს რეაქციის უფრო მყარ და ხანგრძლივ გაუმჯობესებას. 17-19 წლის სპორტსმენთა ათკაციანი ჯგუფის მაგალითზე ხდება რთული რეაქციის 15 პროცენტური საშუალო გაუმჯობესების დემონსტრირება ჩვენი კომპიუტერული ტესტების ერთვიანი შესრულების შემდეგ სამჯერ კვირაში დღეში 10-15 წუთის განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: რეაქციის დრო, მხედველობითი რეაქცია, ფსიქოფიზიოლოგიური ტესტი

Summary

Ilia Khipashvili, Alexander Egoyan, Merab Mirtskhulava

A Computer Method for Improvement of Visual Reaction in Young Football Players

Psychophysiological computer tests are widely accepted in sports science, because they are fast and not expensive. In this work, we present a new program for computer testing, which allows us to find the average reaction time of a sportsman in the different directions and estimate his/her reaction symmetry coefficient. On the basis of these parameters we make recommendations to coaches and sportsmen for the future training. The main feature of the program is its design perfectly fitted into reality which contributes to more effective and persistent changes in the reaction skills of a sportsman. On the example of the group of ten 17-19 **year** old amateur sportsmen we demonstrate the improvement of choice reaction time by 10-15% on **the** average after one-month special training including our computer tests three times per a week for about 10-15 minutes daily.

Keywords: reaction time, visual reaction, psychophysiological test

Резюме

Илья Хипашвили, Александр Егоян, Мераб Мирцхулава

Компьютерная методика для улучшения зрительной реакции футболистов

Психофизиологические тесты достаточно широко распространены в спортивной науке, так как они отличаются быстротой и не требуют больших материальных затрат. В этой работе мы представляем компьютерную программу, которая позволяет определить среднее время зрительной реакции спортсмена и оценить коэффициент симметричности реакции. На основе результатов тестирования мы планируем процесс дальнейшей тренировки. Одной из основных отличительных черт программы является ее интерфейс, максимально приближенный к реальности и способствующий к выработке у тестируемого более устойчивых и долговременных навыков реакции. На примере группы 17-19 летних футболистов-любителей мы демонстрируем улучшение зрительной реакции выбора на 10-15% в результате месячных компьютерных тренингов по нашей программе по три раза в неделю по 10-15 минут в день.

Ключевые слова: Время реакции, зрительная реакция, психофизиологический тест